ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

ხუთშაბათი, 27 ივლისი, 2017 №176 (7411) ფასი: 50 თეთრი

„ჩემმა შვილმა იმ ავტომობილში უკანასკნელი წუთები დაჰყო“



რა შეუთვალა მაგდა პაპიძემ დედამთილს გვ.7

20 ივლისიდან

შიო გვეტაძე

მონანიება

ქართული დეტექტივი მე-14 ტომი

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

რატომ ჩამოართვეს მიხეილ სააკაშვილს უკრაინის მოქალაქეობა

გვ.2

ლევან ალაფიშვილი: „უკრაინის კონსტიტუციაში საკმაოდ მკაცრადაა განსაზღვრული სახელმწიფოს ვალდებულება საკუთარი მოქალაქეების მიმართ. დაუშვებელია მოქალაქეობის ჩამორთმევა და მეორე, სახელმწიფო ვალდებულია, მოქალაქე დაიცვას მსოფლიოს ნებისმიერ ადგილას. ეს ჩანაწერები ინტერპრეტაციის შესაძლებლობას არ იძლევა.

საერთაშორისო სამართალიც ძალიან მნიშვნელოვანია. ვენის კონვენცია ადგენს მოქალაქეობას, სადაც წერია, რომ დაუშვებელია ნებისმიერი ადამიანი დარჩეს მოქალაქეობის, ანუ კონკრეტული სახელმწიფოს პატრონაჟის გარეშე.

უფრო მკაფიოდ რომ წარმოვიდგინოთ, 2011-12 წლებში ბიძინა ივანიშვილს საფრანგეთმა მოქალაქეობის ჩამორთმევაზე უარი სწორედ ამ კონვენციიდან გამომდინარე უთხრა. მაშინ მას უკვე უარი ჰქონდა ნათქვამი რუსეთის მოქალაქეობაზე, საქართველოს მოქალაქეობაც ჩამორთმეული ჰქონდა. მან განცხადება დაწერა საფრანგეთის საელჩოში და მას მიმართა საფრანგეთის მოქალაქეობის ჩამორთმევით, თუმცა საფრანგეთმა ამ კონვენციაზე მიუთითა და აღნიშნა, რომ სანამ საქართველოს ან სხვა ქვეყნის მოქალაქეობა არ ექნებოდა, იქამდე ჩვენ ამ პროცედურას არ დავიწყებთ, რადგან კონვენცია კრძალავდა“.

ირაკლი ლატარია: „მე მომიტაცა და სასიკვდილოდ მაწამა პატრიოტთა ალიანსის ფრაქციის თავმჯდომარემ, გიორგი ლომიამ“

გვ.3

გიორგი ლომია: „ასეთი საშიში თუ ვიყავი, ახლა რატომ ვერ გავაკეთებ იგივეს?“

ჩემი წამება, გატაცება გადაიღეს კამერით, ზუსტად ისე, როგორც აკეთებდა მეგიზ ქარდავა და ნაციონალური მოძრაობა. მე მქონდა ტვინის შერყევა, არავის ეგონა, რომ გადავრჩებოდი, მე ვიყავი მათი ხელიდან მკვდარი!!!

ირმა ინაშვილი: „ვპირდები ლატარიას, რომ მის სიცოცხლეს საფრთხე ჩვენგან არასდროს დაემუქრება და არც დამუქრებია“

გვ.2

სოსო ცინცაძე: „კალაძე მარგველაშვილის გზით უნდა წავიდეს“

გიორგი ახვლედიანი: „ხელისუფლება პროპორციულ არჩევნებს დათანხმდება, ოპოზიცია თუ ერთიანი იქნება“

ნიკა რურუა: „კონსტიტუციის მიღების პროცესი თავიდან უნდა დაიწყოს“ გვ.4

ვახტანგ მაისაია: „რუსეთს ბაქო-სუფსის ნავთობსადენის ხელში ჩაგდება სურს“ გვ.4

გალის ქართველებს საოკუპაციო რეჟიმი ისევ ბინადრობის მოწმობებს სთავაზობს გვ.5

აფხაზეთის სასამართლოში გალის რაიონის ყოფილი გამგებლის საქმე გადაიხედება

ISSN 1987-9385

სოსო ცინცაძე: „კალაძე მარგველაშვილის გზით უნდა წავიდეს“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.



– ბატონო სოსო, რამდენიმე დღის წინ „ევროპული საქართველოს“ აქციას თავისუფალი დემოკრატები და რესპუბლიკელები შეუერთდნენ. შეიძლება ვიფიქროთ, რომ დასავლური ღირებულების პარტიები ჯგუფდებიან?

– ასეთ გადაწყვეტილებას მივესალმებოდი. ამით ძალიან ბევრ რამეს ნათელი მოეფინებოდა და ეს ერთგვარი ევროპული ტიპის გადაწყვეტილებაც იქნებოდა. ამომრჩეველიც ბევრად უფრო მარტივად მიიღებდა გადაწყვეტილებას არჩევნებზე. პროდასავლური ძალები იქნებოდნენ ერთ მხარეს, მეორე მხარეს კიდევ ვიღაცები, მაგრამ აქამდე ქართული პოლიტიკა ჯერ ვერ გაიზარდა.

– ფიქრობთ, თუნდაც ჩემ მიერ ნახსენები პარტიები ვერ გადალახავენ იმ კომპლექსებს, რომლებიც ყოფილ ნაციონალებს უკავშირდებათ?

– დიახ.

– რთულად წარმოგიდგენიათ, მაგალითად, ბოკერია და ბერძენიშვილები ერთად?

– რთული მოზაიკაა. ყოველდღე ვხვდებით ქართულ პოლიტიკაში შეუთავსებელთა შეთავსების დილეტანტურ ცდებს. ცივილიზებული, დასავლური ტიპის პოლიტიკა ამას ვერ იტანს, საქართველოში კი ყველაფერი მოსულა. თუმცა, არ არის გამორიცხული, რომ საპარლამენტო არჩევნების წინ, თუ ამ პარტიებს გადარჩენა უნდათ, ამ ხერხს მიმართონ. 2012 წელს სხვა არაფერი გაუკეთებია ივანიშვილს, შეკრიბა კოქტეილი და არჩევნებში გაიმარჯვა.

– მაშინ იდეოლოგიაზე საერთოდ არ იყო საუბარი, ცხადი იყო, რა მიზნით გაერთიანდნენ.

– სწორედ ამას ვამბობ, ასეთი ერთობები გრძელვადიან პერსპექტივაზე არ არის ორიენტირებული. გამარჯვების შემდეგ კოალიცია უნდა დაეშალა ივანიშვილს და ვადამდელი არჩევნები დაენიშნათ.

პოლიტიკა ძალზე მკაცრი სპორტია. ჩვენთან ყველა პოლიტიკოსია, მაგრამ რეალურად ასე არ არის.

– ჩემს კითხვას რომ დავუბრუნდეთ...

– შეიძლება ამ პარტიებმა ერთმანეთისკენ მისასვლელი გზები მოსინჯეს. ამის ყველაზე კარგი შესაძლებლობა იყო ის აქცია, თანაც ლოზუნგი იყო „არა რუსულ ფაშიზმს“. არაფერი გამორიცხული არ არის, მით უფრო, პოლიტიკაში, მაგრამ ლიდერების გაერთიანება ჯერ კიდევ არ ნიშნავს ელექტორატის გაერთიანებას. თუ ასე მოხდა, მათ ბევრი სამუშაო ექნებათ თავიანთ ელექტორატთან.

– ექსპერტების მიერ არაერთხელ ითქვა, რომ პრეზიდენტი მარგველაშვილი ვადის ამოწურვის შემდეგ პოლიტიკაში დარჩება. ის მარტო იქნება თუ ვინმესთან გაერთიანდება? მაგალითად, უსუფაშვილი და მარგველაშვილი რთული დუეტია?

– პირდაპირ გეტყვით, ეს მარგველაშვილისთვის არ იქნება მომგებიანი. მარგველაშვილისთვის ყველაზე სწორი პოლიტიკა არის ის, რასაც ის დღეს ატარებს. არავისთან კავშირი, მარტო, ნაბიჯ-ნაბიჯ, სულ უფრო და უფრო პოპულარული ხდება ხალხში. შეიძლება ამაზე ხმამაღლა არ იყოს საუბარი, მაგრამ მისი მომხრეების რიცხვი იზრდება.

შეიძლება ვიღაც ფიქრობს, რა მოხდა, კანონს ვეტო დაადო, შეიკრიბება პარლამენტი და, როგორც ყოველთვის, კიდევ გადალახავს, მაგრამ ასე ფიქრობენ სულელები. მარგველაშვილმა მშვენივრად იცის, რა ფასი აქვს მის ვეტოს. ეფექტი არ აქვს ამ ვეტოს, მაგრამ პოლიტიკური ლექი რჩება. მოვა დრო, როდესაც მარგველაშვილი ხმამაღლა იტყვის, მე ამ ყველაფრის წინააღმდეგი ვიყავი და ამას იმ შესაძლებლობით გამოვხატავდი, როგორც შემეძლოო.

დღევანდელი პრეზიდენტის ერთადერთი იარაღი სწორედ ვეტოა. მორალური თვალსაზრისით, ვეტო ატომური ბომბია. ევროპაში მორალური ღირებულება, მით უფრო პოლიტიკოსის, ძალიან ძვირად ფასობს. პოლიტიკაში ძველი ცოდვების წამოძახებას, შეხსენებას ძალიან დიდი ფასი ადევს. სად იყავი? რატომ არ ამოიღე ხმა? ამ ფრაზების პოლიტიკური წონა ყველამ ვიცით. ასეთ ცოდვებს მარგველაშვილს ვერ გაუხსენებენ, როდესაც ამის დრო მოვა. მარგველაშვილს მორალური უფლება ექნება, რომ მომავალი პოლიტიკური კარიერა გააგრძელოს.

დღეს მარგველაშვილი მორალურ რეიტინგს ზრდის. ის ნამდვილად არის ჭკვიანი პოლიტიკოსი, ინტელექტუალია. თუ ვინმე არის ჩვენთან დღეს ქართველი ევროპელი, ეს არის გიორგი მარგველაშვილი. თქვენ რესპუბლიკელებზე მკითხეთ, რესპუბლიკელები ძლიერი პოლიტიკოსები რომ ყოფილიყვნენ, ხელისუფლებას 2013 წელს დატოვებდნენ ან 2014 წელს და არა მაშინ, როდესაც დატოვეს. ყველა შეცდომა, რასაც „ოცნება“ უშვებდა, მათთანაც ასოცირდება, უსუფაშვილი პარლამენტის თავმჯდომარე იყო, დანარჩენი ნაწილი კი მინისტრები იყვნენ. უსუფაშვილი, რომელიც ჭკვიანია უდავოდ, ბევრად უფრო რაციონალურად უნდა მოქცეულიყო, მას ყოველთვის წამოაძახებენ იმ ფრაზებს, რომლებიც უკვე ვახსენე.

– უსუფაშვილი ხშირად ამბობს, რომ ის ცდილობდა გუნდის შიგნით.

– თუ ცდილობდა და ვერ აღწევდა შედეგს, მაშინ თანამდებობა უნდა დაეტოვებინა. მარგველაშვილის გამჭრიახობა და ჭკუა იმაშია, რომ მან უსუფაშვილის შეცდომები გაითვალისწინა. მარგველაშვილმა სხვის შეცდომებზე ისწავლა, თუ შეიძლება ასე ითქვას.

იგივე შემიძლია ვთქვა კალაძეზე. თუ ის გაიმარჯვებს, მან უნდა ისწავლოს მარგველაშვილის გამოცდილებით, ის უნდა გახდეს დამოუკიდებელი და არა – პარტიაზე დამოკიდებული, როგორც ეს მოახერხა მარგველაშვილმა. თბილისის მერობა ვერც ერთი მერისთვის ვერ გახდა ტრამპლინი. კალაძეს უნიკალური შანსი აქვს, რომ მერობა ტრამპლინად გამოიყენოს, თუმცა, ამისთვის მან უნდა მიიღოს გადაწყვეტილება და გაემიჯნოს დაკვეთებს. თუ დამოუკიდებელი იქნება, მერწმუნეთ, ხალხი მის გვერდით დადგება.

ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები ბევრ რამეს გამოაჩენს, ბევრი პოლიტიკური მოვლენა უფრო ადვილად პროგნოზირებადი გახდება.

რატომ ჩამოართვეს მიხეილ სააკაშვილს უკრაინის მოქალაქეობა

შორენა მარსაგიშვილი

უკრაინის პრეზიდენტის ვიზიტი საქართველოში ნაყოფიერი გამოდგა – მიხეილ სააკაშვილი უკრაინის მოქალაქე აღარ არის. მისთვის მოქალაქეობის ჩამორთმევის შესახებ ინფორმაცია გუშინ, 26 ივლისს გავრცელდა.

ერთი დღით ადრე კი მიხეილ სააკაშვილმა საზოგადოებას ბიძინა ივანიშვილისა და პეტრო პოროშენკოს საიდუმლო შეხვედრის შესახებ ამცნო. ნაპრეზიდენტალის მტკიცებით, ორმა ოლიგარქმა მის წინააღმდეგ საერთო ენა გამონახა.

მიხეილ სააკაშვილისთვის უკრაინის მოქალაქეობის ჩამორთმევის შესახებ პირველი ინფორმაცია რუსულმა მედიამ უკრაინის რადას დეპუტატზე დაყრდნობით გაავრცელა.

– მე მიდასტურებენ: ეს სიმართლეა – ქართველ იანუკოვიჩს, მიხო სააკაშვილს უკრაინის მოქალაქეობა ჩამოართვეს და ამას ადასტურებს ის, რომ პრეზიდენტმა პოროშენკომ, როგორც იქნა, დაიწყო საკუთარი შეცდომების აღიარება, – დაწერა სოციალურ ქსელში იგორ მოსიუჩუკმა.



სააკაშვილისთვის უკრაინის მოქალაქეობის შესაძლო ჩამორთმევაზე სხვა დროსაც გავრცელებულა ინფორმაციები. ერთ-ერთი პირველი ინფორმაცია ამის შესახებ

სახელმწიფო უშიშროების სამსახურის ყოფილმა პრესსპიკერმა და ასევე შს მინისტრის არსენ ავაკოვის ყოფილმა მრჩეველმა სტანისლავ ვეჩინსკიმ გაავრცელეს.

არსენ ავაკოვთან საქართველოს ყოფილ პრეზიდენტს დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა. უკრაინის მთავრობის სხდომაზე მათ ერთმანეთს წყალიც კი შეასხეს. ავაკოვი სააკაშვილს უყვიროდა, ჩემი უკრაინიდან გაეთრიეო.

იმ დროისთვის ჩვენებური ჯერ ისევ ოდესის გუბერნატორი იყო და უკრაინაში კორუფციის ალაგმვაც ევალებოდა. იმ დროისთვის უკრაინაში მისი რეიტინგი ძალიან მაღალი გახლდათ. იყო დრო, როცა მას ამ ქვეყნის პრემიერად მოიაზრებდნენ.

სავარაუდოდ, ამიტომ თქვა მან უარი საქართველოს მოქალაქეობაზე. უცხო ქვეყნის მოქალაქეობა მას 2015 წლის 29 მაისს მიანიჭეს.

მთავარი პროკურორის ყოფილი მოადგილე და სააკაშვილის თანამებრძოლი დავით საყვარელიძე ფიქრობს, რომ პოროშენკოს რეჟიმი მალე დასრულდება. მისი თქმით, ამ ყველაფრის უკან რუსეთი დგას.

საყვარელიძის თქმით, მათი შეჩერება შეუძლებელია.

– ვფიქრობ, ფართო კომენტარი აქ ზედმეტია. ცხადია, რომ უკრაინამ „ახალი იანუკოვიჩი“ მიიღო, მხოლოდ ინგლისურენოვანი. ყველასთვის უკვე დიდი ხანია ცნობილია, რომ ასე გაგრძელება არ შეიძლება – უკრაინა საკუთარი სახელმწიფოს გადარჩენისა და შენარჩუნების ზღვარზეა.

ადამიანი, რომელიც ყველაზე ხმამაღლა საუბრობდა ამაზე, დღეს უკრაინის მოქალაქეობის გარეშე და უკრაინაში შესვლის ნებართვის გარეშე დარჩა. მაგრამ ეს ვერც ერთ შემთხვევაში ვერ გაგვაჩერებს – რუხი ახალი ძალა მიხეილ საკაშვილი. პირიქით, ვფიქრობ, რომ ეს პეტრო პოროშენკოს რეჟიმის დასრულებას მოაახლოებს. ჩვენ კოორდინაციაში ვიქნებით შექმნილ შტაბებთან მომავალი საერთო მოქმედებებისთვის და წინსვლისთვის, იმისთვის, რომ მივიღოთ ყველა საჭირო ზომა. ვინ არის ჩვენთან ერთად სიმართლის მხარეს, – დაწერა საყვარელიძემ ფეისბუქის საკუთარ გვერდზე.

დღის ბოლოსთვის ოფიციალური განცხადება გაავრცელა უკრაინის საიმიგრაციო სამსახურმაც. უწყების ოფიციალურ გვერდზე ვკითხულობთ:

– უკრაინის გენერალური პროკურატურის მიერ მოწოდებული მასალები მიხეილ სააკაშვილზე დამუშავებულია უკრაინის სახელმწიფო საიმიგრაციო სამსახურის მიერ, გადაგზავნილია უკრაინის პრეზიდენტის ადმინისტრაციაში არსებული მოქალაქეობის საკითხის კომისიის განხილვაზე და განხილული იყო კომისიის სხდომაზე. უკრაინის კონსტიტუციის თანახმად, პრეზიდენტი გადაწყვეტილებას იღებს მოქალაქეობის ჩამორთმევაზე კომისიის დასკვნის საფუძველზე.

უკრაინის საიმიგრაციო სამსახურში აღნიშნავენ, რომ მოქალაქეობის ჩამორთმევის საფუძვლები ჩამოთვლილია უკრაინის მოქალაქეობის შესახებ კანონის მე-9 მუხლში. კერძოდ, მოტყუების შედეგად, განზრახ ყალბი ინფორმაციის მიწოდების საშუალებით.

იმ დროს, როცა მოქალაქეობა ჩამოართვეს, მიხეილ სააკაშვილი ამერიკაში იმყოფებოდა. ის, სავარაუდოდ, არც დაბრუნდება უკრაინაში.

საქართველოს მთავარ პროკურატურაში არ იციან, რომელ ქვეყანას უნდა მოსთხოვონ სააკაშვილის გადმოცემა.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ რამდენიმე დღეში საქართველოს აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტი პენსი ეწვევა. საინტერესოა, ექნებათ თუ არა ჩვენი ხელი-

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ირაკლი ლატარია: „მე მომიტაცა და სასიკვდილოდ მაწამა პატრიოტთა ალიანსის ფრაქციის თავმჯდომარემ, გიორგი ლომიამ“

შორენა მარსაგიშვილი

პატრიოტთა ალიანსი ისევ შარშია. ალიანსის საპარლამენტო ფრაქციის თავმჯდომარე გიორგი ლომიას ყოფილი თანამებრძოლი ირაკლი ლატარია გატაცებაში, ცემასა და წამებაში ადანაშაულებს.

ლატარიას მტკიცებით, ის ლომიამ შარშან ოქტომბერში გაიტაცა და პატრიოტთა ალიანსის ოფისში აწამა.

აღსანიშნავია, რომ ლატარია პატრიოტთა ალიანსში ანალიტიკურ სამსახურს ხელმძღვანელობდა. ის ალიანსიდან არჩევნებშიც ღებულობდა მონაწილეობას.

თავისი თავგადასავლის შესახებ ყოფილმა ალიანსელმა ფეისბუქის გვერდზე დაწერა.

– მე მომიტაცა და სასიკვდილოდ მაწამა საქართველოს პატრიოტთა ალიანსის ფრაქციის თავმჯდომარემ, გიორგი ლომიამ, ასევე შსს-ს (ასე გამეცნო) თანამშრომელმა, ჩემმა უბნელმა კენკებაშვილმა და კიდევ ორმა უცხო ადამიანმა (მე შემიძლია ორივე ამოვიცნო).

ჩემი წამება, გატაცება გადაიღეს კამერით, ზუსტად ისე, როგორც აკეთებდა მეგიზ ქარდავა და ნაციონალური მოძრაობა. მე მქონდა ტვინის შერყევა, არავის ეგონა, რომ გადავრჩებოდი, მე ვიყავი მათი ხელიდან მკვდარი!!!

(გამიტაცეს საკუთარი სახლიდან, მიმიყვანეს ოფისში, დამაბეს სკამზე, რამდენიმე საათი მცემდნენ კონდახებით, მაწამებდნენ, წყალიც კი არ დამალევინეს, როდესაც გონება დავკარგე, მხოლოდ შემდეგ ცოტა ხანი შემეშვნენ .....) ეს მოკლედ, რაც მოხდა, – ასე აღწერს თავის ამბავს ლატარია.

ფეისბუქის საკუთარ გვერდზე ლატარია იმაზეც საუბრობს, თუ რა რეაქცია ექნებოდა ამ ინფორმაციის გასაჯაროების შემდეგ ლომიას.

ლატარია ასეთ რეაქციას ელოდა გამტაცებლებისგან:

– ზუსტად ვიცი, ახლა დაიწყებს ლომია და მისი „სასტავი“ ჩემ წინააღმდეგ კამპანიების წამოწევას. არ გამოვრიცხავ, დაიწყონ შანტაჟი, როგორც ადრე იყო, დააყენე, თორემ შენს სექს ვიდეოებს ავტვირთავთო, რაზეც მე ვიცინე და მიდით ატვირთეთ-თქო და იმის მერე გაჩუმდნენ.

ირაკლი ლატარია პატრიოტთა ფრაქციის თავმჯდომარეს ძველ ცოდვებსაც უხსენებს და ზურაბ ჭიაბერაშვილის კადრად მოიხსენიებს.

– ეგ ის ლომიაა, რომელმაც 2006 წელში, როდესაც მე ვმუშაობდი მერიაში, კამერები დამიყენა, იყო ჭიაბერაშვილის კადრი, მანამდე კი – მერაბიშვილის ზონდერი. მე არ მაინტერესებს, ალიანსის ლომია ვინ იყო, მაგრამ ეგ ის ლომიაა, რომელიც შვილის მოკვლით დამემუქრა. მე მყავს 1 დღის ელენე და იმის თავს გეფიცებით, თუ რაიმეს ვამატებდე, რამდენი რამე კიდევ არ მითქვამს, რომელსაც ვეტყვი მხოლოდ პროკურატურას!!! ამ ყველაფერს მე ვაკეთებ თქვენი შვილების გამო, თორემ ჩემს შვილებს, არ ვიცი, მაგათგან რა ემუქრება, – აღნიშნავს პატრიოტთა ალიანსის ანალიტიკური სამსახურის ყოფილი უფროსი.

ბუნებრივია, ყველას გაუჩნდება კითხვა, ამდენი ხნის მანძილზე რატომ დუმდა ლატარია. ის რამდენიმეთვიანი დუმილის მიზეზად 2 გარემოებას ასახელებს:

– მეუღლე ორსული მყავდა და მანქანით გავიტანთო, დამემუქრნენ, და მეორე, მქონდა

ირმა ინაშვილი: „ვპირდები ლატარიას, რომ მის სიცოცხლეს საფრთხე ჩვენგან არასდროს დაემუქრება და არც დამუქრებია“

ირმა ინაშვილის იმედი, რომ ის მის დასჯას მოახერხებდა, თუმცა შევცდი.

ლატარიამ გუშინ, 26 ივლისს, საჩივრით პროკურატურასაც მიმართა. მედიას იმაზეც ესაუბრა, თუ რატომ დაუპირისპირდნენ მას თანაგუნდელები.

რისხვის მიზეზი პატრიოტთა ალიანსის თავმჯდომარე დავით თარხან-მოურავია. მისი თქმით, პატრიოტების აღშფოთება ფეისბუქსქრინმა გამოიწვია, სადაც ის თარხან-მოურავს აგინებს.

– ეს სქრინი კონტექსტიდან არის ამოგლეჯილი. სინამდვილეში მე არა პარტიის თავმჯდომარეს, არამედ მის ზოგიერთ კადრს ვაგინებდი, – ამბობს ლატარია.

ჟურნალისტებთან საუბარში ლატარია ამტკიცებს, რომ მისი ცემის შესახებ საქმის კურსში არიან ირმა ინაშვილიც და დავით თარხან-მოურავიც.

– თარხან-მოურავი და ირმა მოვიდნენ და მათ გამომიშვეს. თარხან-მოურავმა მითხრა, ბოდიში მოიხადეო, მოვიხადე ბოდიში და გამომიშვეს, – აღნიშნავს ის.

ლატარია ამბობს, რომ მტკიცებულებები აქვს.

– არის ფოტოებზე, სადაც ჩემი მდგომარეობა ჩანს ცემის შემდეგ, გამოძახებული სასწრაფო, მოწმეები, რომლებმაც ნახეს, თუ როგორ გამოვიყურებოდი ოფისში მიყვანამდე და მის შემდეგ, – ამბობს ლატარია.

❖ ❖ ❖

ლატარიამ სკანდალური ინფორმაცია სოციალურ ქსელში 25 ივლისს, გვიან ღამით, გაავრცელა. ყველა მოუთმენლად ელოდა დილის გათენებას და ინაშვილი-ლომიას კომენტარებს.

ყოფილ თანაპარტიელს ირმა ინაშვილი პოსტის გამოქვეყნებიდან რამდენიმე საათში გამოეხმაურა. პარლამენტის ვიცე-სპიკერი ამბობს, რომ წაკითხულით გაოგნებულია.

– მთელი ღამის განმავლობაში მოთმინებით ვკითხულობდი ჩვენი პარტიის ანალიტიკური პროექტის ყოფილი თანამშრომლის (ამ ჯგუფს ხელმძღვანელობდა, ვიდრე პროექტი დაიხურებოდა) ირაკლი ლატარიას კომენტარებს. მეგონა, რომ ცხოვრებაში ბევრი რამ მქონდა ნანახი და მოსმენილი...

მეგონა, რომ წლების მანძილზე გადატანილი უამრავი ცილისწამების შემდეგ, ვეღარაფერი გამაკვირვებდა და მატკენდა გულს, მაგრამ ეს ყველაფერი გუშინდელ დღემდე მეგონა... ჩემთვის სრულიად აუხსნელი და გაუგებარია, თუ ლატარიას ვინმე შვილის მოკვლით ემუქრებოდა.... თუ ემუქრებოდნენ გაუპატიურებით... მეუღლის სიცოცხლის ხელყოფით... კიდევ ათასი უბედურებით, რაც უსინდისო ცილისწამებაა...

ამ 9 თვის განმავლობაში ეს მე მაინც რატომ არ მითხრა... მე ხომ საკუთარი შვილის ნათლიობა მანდო?!... ამ შვილის უსაფრთხოება რატომ ვეღარ მანდო, როგორც ქალს... როგორც ორი შვილის დედას... როგორც მის მეჯვარეს... როგორც მისი შვილის მომავალ ნათლიას?!... რა გულმა მოუთმინა, რომ ყველა მისმა მეგობარმა იცოდა თურმე, რომ შიშში ცხოვრობდა და ეს შიში მე არ გამანდო, – კითხულობდა ინაშვილი ფეისბუქზე.

მედიასთან საუბარში კი მან ეჭვებზე ისაუბრა. მიაჩნია, რომ მისი ყოფილი თანაპარტიელი ვიღაცის დავალებებს ასრულებს. ეჭვობს, რომ მას ხელისუფლების ქვედა რგოლები აქეზებენ.

ამის გარდა, ინაშვილი არ გამორიცხავს, რომ ამ ეტაპზე ირაკლი ლატარიას ფსიქიკური პრობლემები ჰქონდეს.

ვიცე-სპიკერი მზადაა, გამოძიებასთან ითანამშრომლოს და ლატარიას უსაფრთხოებაც დაიცვას. აი, რას ამბობს ამასთან დაკავშირებით:

– მე ვპირდები ლატარიას, რომ მის სიცოცხლეს საფრთხე ჩვენგან არასდროს დაემუქრება და არც დამუქრებია... და მე ვიქნები პირველი, ვინც მას და მის ოჯახს დაიცავს. ამასთან, მე ვპირდები ირაკლი ლატარიას, რომ აქტიურად ვიმოქმედებთ სამართლებრივად, ვითანამშრომლებთ გამოძიებასთან... ჩვენი მხრიდანაც მივმართავთ პროკურატურას.

საპარლამენტო ფრაქცია „პატრიოტების“ თავმჯდომარე გიორგია ლომია კი იქეთ აპირებს ლატარიასთვის ჩივილს.

ლომია ფიქრობს, რომ ლატარია ყურადღების მიქცევას ცდილობს. ის არც იმას გამორიცხავს, რომ ვიღაცებს პატრიოტთა ალიანსის დისკრედიტაცია სურდეს.

ამის გარდა, ამბობს, რომ ის ალიანსის ანალიტიკური სამსახურის ყოფილ უფროსს არ იცნობს. ამტკიცებს, რომ ადეკვატური ადამიანია და ადამიანს არ გაიტაცებს.

– როდესაც ასეთ განცხადებას ავრცელებს, მოტივი ხომ უნდა არსებობდეს? ახლა მე ვგავარ არაადეკვატურ ადამიანს? რომელიც გაიტაცებს, აწამებს, არაფერს არ სთხოვს და უბრალოდ, ტკბება ამ პროცესით?

გიორგი ლომია: „ასეთი საშიში თუ ვიყავი, ახლა რატომ ვერ გავაკეთებ იგივეს?“

ის ჩვენთან მუშაობდა. ვიდრე პარლამენტში მოვხვდებოდი, ჩვენს პარტიაში მე ვხელმძღვანელობდი უსაფრთხოების ნაწილს, ლატარია ჩვენთან მოვიდა 2015 წელს და მას ჩავაბარეთ ანალიტიკური სამსახური. დამთავრდა მისი პროექტი და შეუწყდა კონტრაქტიც. ჩვენ დავემშვიდობეთ მასაც და მის ჯგუფსაც. რა თქმა უნდა, უთანხმოება იყო მისი და მისი ჯგუფის მხრიდან, მაგრამ ჩემი მხრიდან ადამიანის გატაცების მიზეზი ეს არ იქნებოდა, – ამბობს ლომია.

ინაშვილის მსგავსად, მასაც აქვს ეჭვი იმასთან დაკავშირებით რომ ლატარიას სკანდალი მართული პროცესია.

ახლა ალიანსში იმის დადგენას ცდილობენ, ვისგან შეიძლება მოდიოდეს ეს ყველაფერი. ლომიას ვარაუდები ასეთია:

– ვერ ვიტყვით, რომ მთლად „ზემოდან“ გაიცა ბრძანება, რათა კიდევ ერთი შავი პიარი აგვიგორონ ლატარიას სახით. კონკრეტულ პირებზე ჯერ ვერ ვსაუბრობთ. გვაქვს ერთ-ერთი ვერსია, რომ ეს პროცესი მართულია. ჩვენ ლატარიასთან ძალიან ბევრი შეკითხვა გვქონდა, შინაგან საქმეთა სამინისტროშიც კი იყო საქმე და სამართალდამცველები იძიებდნენ მის მიერ ჩადენილ დანაშაულს, რადგან ეს არის ანალიტიკური სამსახური და ძალიან დიდი ოდენობით საბუთები და ინფორმაცია გავიდა პარტიიდან.

გიორგი ლომიას ისიც აინტერესებს, თუ ლატარიას აქამდე ეშინოდა მისი, ახლა რატომ აღარ ეშინია.

– ასეთი საშიში თუ ვიყავი, ახლა რატომ ვერ გავაკეთებ იგივეს? – ეკითხება ლომია ჟურნალისტებს.

დეპუტატის განცხადებით, საქართველო არაა ის ქვეყანა, სადაც ადამიანების გატაცება ასეთი ადვილია.

ალიანსის წინააღმდეგ დაწყებულ კამპანიას ის შემდეგ მიზეზებს უკავშირებს:

– ჩვენი ვიზიტი რუსეთის ფედერაციაში, უთანხმოება ხელისუფლებასთან გარკვეულწილად მეტყველებს იმაზე, რომ დღეს გამოცოცხლდნენ ის ძალები, რომელთაც მართავს ხელისუფლება.

დეპუტატი დარწმუნებულია, რომ ეს ყველაფერი მალე დასრულდება და ალიანსი თავის სიმართლეს დაამტკიცებს.

რატომ ჩამოართვეს მიხეილ სააკაშვილს უკრაინის მოქალაქეობა

დასაწყისი მე-2 გვერდზე

სუფლების წარმომადგენლებს მასთან ნაპრეზიდენტალის გადმოცემაზე საუბარი. თუ მის ჩამოსვლამდე სააკაშვილი ჯერ კიდევ იქ იყოს.

ნაპრეზიდენტალისთვის მოქალაქეობის ჩამორთმევის შესახებ გავრცელებული ინფორმაციის შემდეგ, უკრაინულმა გამოცემამ ნვ.უა სააკაშვილთან ცოტა ხნის წინ ჩაწერილი ინტერვიუ გამოაქვეყნა, სადაც იმაზეა საუბარი, თუ რას იზამს ის, მას თუ უკრაინის მოქალაქეობას ჩამოართმევენ.

კითხვაზე, რას იზამს თუ მოვლენები ასე განვითარდება, უკრაინის ყოფილი მოქალაქე ასე პასუხობს:

– არც არაფერს. ვიჯდები აქ, კიევში. პრობლემა არაა. ვიჯდები კიევში მოქალაქეობის გარეშე.

გამოცემის ინფორმაციით, სააკაშვილი მაიდანთან ახლოს ქირით ცხოვრობს, საიდანაც შემდგომში გადასვლას აპირებს.

ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი ლევან ბეჟაშვილი ამბობს, რომ პოროშენკო დიდი ხანია ცდილობდა სააკაშვილის, როგორც მთავარი კონკურენტის, მოშორებას.

მისი თქმით, ექსპრეზიდენტისთვის მოქალაქეობის ჩამორთმევა სწორედ ამ ბრძოლის ნაწილია.

– უკრაინის პრეზიდენტის ადმინისტრაცია ადრევე იხილავდა მიხეილ სააკაშვილის მოქალაქეობის ჩამორთმევის საკითხს. ეს საკითხი განიხილებოდა, როგორც მთავარი პოლიტიკური ოპონენტის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთ ფორმად. დადასტურებულია ასევე ინფორმაცია, რომ უკრაინის პრეზიდენტის საქართველოში ვიზიტის დროს, ეს საკითხი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იყო და განიხილებოდა საქართველოს ხელისუფლებასთან, – ამბობს ბეჟაშვილი.

იურისტ ლევან ალაფიშვილის განცხადებით, სააკაშვილის მოქალაქეობის გარეშე დატოვება არ გამოვა.

ის „აიპრესთან“ საუბრისას აღნიშნავს, რომ როგორც უკრაინის კონსტიტუციით, ისე საერთაშორისო ნორმებით დაუშვებელია, პირი მოქალაქეობის გარეშე დარჩეს. იურისტი საერთაშორისო ნორმების ერთ მაგალითსაც იხსენებს, როდესაც საფრანგეთმა ბიძინა ივანიშვილს მოქალაქეობის ჩამორთმევაზე უარი სწორედ საერთაშორისო ნორმებიდან გამომდინარე უთხრა.

– უკრაინის კონსტიტუციაში საკმაოდ მკაცრადაა განსაზღვრული სახელმწიფოს ვალდებულება საკუთარი მოქალაქეების მიმართ. დაუშვებელია მოქალაქეობის ჩამორთმევა და მეორე სახელმწიფო ვალდებულია, მოქალაქე დაიცვას მსოფლიოს ნებისმიერ ადგილას. ეს ჩანაწერები ინტერპრეტაციის შესაძლებლობას არ იძლევა.

საერთაშორისო სამართალიც ძალიან მნიშვნელოვანია. ვენის კონვენცია ადგენს მოქალაქეობას, სადაც წერია, რომ დაუშვებელია ნებისმიერი ადამიანი დარჩეს მოქალაქეობის, ანუ კონკრეტული სახელმწიფოს პატრონაჟის გარეშე.

უფრო მკაფიოდ რომ წარმოვიდგინოთ, 2011-12 წლებში ბიძინა ივანიშვილს საფრანგეთმა მოქალაქეობის ჩამორთმევაზე უარი სწორედ ამ კონვენციიდან გამომდინარე უთხრა. მაშინ მას უკვე უარი ჰქონდა ნათქვამი რუსეთის მოქალაქეობაზე, საქართველოს მოქალაქეობაც ჩამორთმეული ჰქონდა. მან განცხადება დაწერა საფრანგეთის საელჩოში და მას მიმართა საფრანგეთის მოქალაქეობის ჩამორთმევით, თუმცა საფრანგეთმა ამ კონვენციაზე მიუთითა და აღნიშნა, რომ სანამ საქართველოს ან სხვა ქვეყნის მოქალაქეობა არ ექნებოდა, იქამდე ჩვენ ამ პროცედურას არ დავიწყებთ, რადგან კონვენცია კრძალავდა, – აღნიშნა ალაფიშვილმა.

გიორგი ახვლედიანი: „ხელისუფლება პროპორციულ არჩევნებს დათანხმდება, ოპოზიცია თუ ერთიანი იქნება“

ოპოზიციურმა პარტიებმა ვენეციის კომისიის პრეზიდენტს ჯანი ბუკიკიოს საჩივრის წერილით კიდევ ერთხელ მიმართეს. ბუკიკიომ კი მათ საპასუხო წერილი გამოუგზავნა, სადაც საუბარია, რომ ის გამოსავალს კვლავ ფართო კონსენსუსში ხედავს. უმრავლესობა აცხადებს, რომ ოპოზიცია არ მოდის დათმობაზე და ამიტომ ჯანი ბუკიკიოს ნუ დააკისრებენ იმაზე მეტ პასუხისმგებლობას, ვიდრე მას ეკისრება.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით „ახალი თაობა“ ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებს ნიკა რურუას და გიორგი ახვლედიანს ესაუბრა.

ნონა ცაბაძე

ნიკა რურუა: „კონსტიტუციის მიღების პროცესი თავიდან უნდა დაიწყოს“

ნიკა რურუა, ნაციონალური მოძრაობა.

– ბატონო ნიკა, ჯანი ბუკიკიო გამოსავალს ფართო კონსენსუსში ხედავს. ხელისუფლება კი ოპოზიციას ადანაშაულებს, რომ ისინი არ არიან მზად კონსენსუსისთვის. როგორია თქვენი შეფასებები?

– მართალს ბრძანებს ბუკიკიო, ეს არის ჩვენი გადასაწყვეტი, ქართველი საზოგადოების, თუ როგორი კონსტიტუცია გვექნება და არა უმცირესობაში მყოფი ხელისუფლების, რომელიც მხოლოდ პარლამენტშია უმრავლესობაში. „ქართული ოცნება“ მთელ ქვეყანაში უმცირესობაშია! ის არის უმცირესობაში, რადგან ოლიგარქიულ კონსტიტუციას ახვევს თავს ქვეყანას. ეს პროცესი უნდა შეჩერდეს.

– გამოსავალი რაშია?

– დღეს ყველა მზად არის იმისთვის, რომ ეს პროცესი დაიწყოს თავიდან. ყველა, ხელისუფლების გარდა. ეს პროცესი ჩიხში სწორედ „ქართულმა ოცნებამ“ შეიყვანა. არ შეიძლება ქურდულად, ორი მოსმენით, სასწრაფოდ მიიღო კონსტიტუცია და შემდეგ თქვა, რომ არაფერს არ დავთმობ და ისე ვილაპარაკოთ. არა, ბატონებო, ასე არ გამოვა. ეს პროცესი უნდა გაჩერდეს და დაიწყოს თავიდან ყველა მონაწილის ჩართულობით, გამჭვირვალედ და არა აჩქარებულად. ძალიან საეჭვოა, როდესაც კონსტიტუცია მიიღება ასეთი ნაჩქარეობით. ეს მხოლოდ ერთ რამეზე მიანიშნებს...

– რაზე?

– ხელისუფლებას უნდა, რომ შეცვალოს ქვეყნის უზენაესი კანონი, მთავარი თამაშის წესები მხოლოდ მის სასარგებლოდ.

– ხელისუფლება აცხადებს, რომ თავად ვერ გარკვეულა, თუ რისი შეცვლა უნდა ოპოზიციასო. სერიოზული აზრთა სხვადასხვაობაა ოპოზიციაში კონსტიტუციასთან დაკავშირებით?

– ეს არის ბოდვა! რას ჰქვია, ვერ ჩამოვყალიბებულვართ?! ჩვენ გვინდა, რომ ქართველმა ხალხმა აირჩიოს თავისი პრეზიდენტი, ჩვენ გვინდა, რომ 2020 წლიდან ჩატარდეს პროპორციული არჩევნები, ჩვენ გვინდა, რომ კონსტიტუცია იყოს საქვეყნო და ასე შემდეგ. ეს გარკვეულია, ყველა პატრიოტი ძალა, რომელიც არ არის მთავრობის სატელიტი, ამ აზრზეა.

ჩვენთან არანაირ გაუგებრობას ადგილი არა აქვს. გაუგებრობას თესავს და ხალხის მოტყუებას ცდილობს „ქართული ოცნება“. უკეთესი იქნება, „რუსული ოცნება“ ერქვას, რადგან რუსეთს ამაზე უკეთესი მთავრობა აქ ვერ ეყოლებოდა!

– თამარ ჩუგოშვილი აცხადებს, რომ ვენეციის კომისიამ თავისი წილი საქმე უკვე გააკეთა და ნუ დავაკისრებთ იმაზე მეტ პასუხისმგებლობას, ვიდრე ამის მოვალეობა აქვსო.

– ვენეციის კომისიამ თქვა, რომ არ მოსწონს დღევანდელი ვერსია, მას არ მოსწონს პრეზიდენტის პირდაპირი წესით არჩევის გაუქმება, რადგან პრეზიდენტის ინსტიტუტი დემოკრატიულ პროცესებს ხელს უწყობს, ის არის ყველაზე მეტი ლეგიტიმაციის მქონე პირი და ასევე აღმასრულებელი ხელისუფლების მთავარი დამბალანსებელი. ამიტომ ეს სისტემა ბევრად ჯობია იმას, რასაც გვთავაზობს ოლიგარქი და მისი მსახურები ჩუგოშვილის ჩათვლით. კონსტიტუცია ან იქნება როგორიც არის დღეს, ან შეიცვლება და გახდება უკეთესი, ნორმალური კონსტიტუციური პროცესით, რომელიც აქამდე ვერაფრით და არაფრით არ წარმართა „ქართულმა ოცნებამ“.

– გაქვთ იმის იმედი, რომ „ქართული ოცნება“ ამ პროცესს თავიდან დაიწყებს, როდესაც ორი მოსმენით კანონი მიღებულია?

– მე არ მაინტერესებს, რას იზამს „ქართული ოცნება“, ჩვენ არ ვართ მათ იმედზე. ქართველი ხალხი არ დაუშვებს ოლიგარქიულ კონსტიტუციას! თუ მაინც წავა „ქართული ოცნება“ ამაზე, ის მიიღებს გამანადგურებელ პროტესტს ქართველი ხალხისგან.

– თქვენ პრეზიდენტის ინსტიტუტზე საუბრობდით, რას იტყვით ამ ვეტოებზე, რომელთაც შემდეგ ყოველ ჯერზე ძლევს უმრავლესობა?

– პრეზიდენტმა აბსოლუტურად სწორად დაადო ვეტო, რადგან არ შეიძლება, რომ ქალაქები დატოვო თვითმმართველობის გარეშე და ისინი გადააკეთო შენი პარტიის ინტერესების გამო. არ შეიძლება, საარჩევნო გეოგრაფია შეცვალო ისე, რომ ეს მხოლოდ შენს პარტიულ ინტერესებს ემსახურებოდეს. ეს არის სამარცხვინო ქმედება. ამით თვითლუსტრაციას ახდენს „ქართული ოცნება“! ამდენი ვეტოების დაძლევა, უბრალოდ, სირცხვილია. ამიტომ ვამბობდით, რომ დამღუპველი იყო მათთვის კონსტიტუციური უმრავლესობა! კონსტიტუციური უმრავლესობა არ უნდა ჰქონდეს არავის. მით უმეტეს, ასეთ უსახურ და არაქართულ ძალას, როგორიც „ოცნებაა!“

❖ ❖ ❖

გიორგი ახვლედიანი:

– თუ ვინმეს ინგლისურთან აქვს პრობლემა და არ შეუძლია წერილის წესიერად წაკითხვა, მაშინ ჩვენ ვუთარგმნით, რადგან ისეთი არასწორი ინტერპრეტაციებით, როგორც ახლა „ქართული ოცნება“ ჯანი ბუკიკიოს წერილს განიხილავს, სამარცხვინოა.

– ამას შეგნებულად აკეთებენ?

– რა თქმა უნდა! თამარ ჩუგოშვილმა ძალიან კარგად იცის ინგლისური და ვერ დავიჯერებ, რომ მან ამ წერილის წაკითხვა ვერ შეძლო. ეს ინტერპრეტაციები ხდება შეგნებულად. დღეს მათ პოლიტიკას სჭირდება ის, რომ არასწორად წაიკითხონ ვენეციის კომისიის წერილი.

– სინამდვილეში რა მოგწერათ ჯანი ბუკიკიომ?

– ოპოზიციურმა პარტიებმა ვენეციის კომისიას წერილი მივწერეთ მეორე დღესვე, რაც „ქართულმა ოცნებამ“ გამოგვიცხადა, რომ მზადაა არა დიალოგისათვის, არამედ ვაჭრობისათვის. როდესაც გამოაცხადეს ქალბატონმა ბესელიამ და ბატონმა ვოლსკიმ, ორი მოსმენით მიღებულ კონსტიტუციას არ შევცვლითო. მერე ვოლსკიმ დაამატა, რომ ჯანდაბას თქვენი თავი და ბლოკებზეც დაგელაპარაკებითო. ღიად გვითხრა, რომ ვისაც სისტემის შეცვლაზე გინდათ საუბარი, მათთან ჩვენ არ გვინდა საუბარიო. მარტო იმათ ველოდებით მოლაპარაკებებზე, ვინც უნდა „გაგვიპრავოს“ მაჟორიტარული სისტემა 2020-შიო.

– და ამიტომ ისევ ჯანი ბუკიკიოსთან იჩივლეთ?

– მეორე დღესვე გავაგზავნეთ წერილი ვენეციის კომისიაში, სადაც სწორედ ამის შესახებ მივაწოდეთ ინფორმაცია, რომ ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს, რათა მოლაპარაკებები ჩაშალოს. ფაქტია, რომ მათ აშკარად არ უნდათ მოლაპარაკებები, ისეთ ულტიმატუმებს და წინაპირობებს გვიყენებენ, როცა შეუძლებელი ხდება საუბარი. ჩვენი მიზანი იყო ვენეციის კომისიის ინფორმირება ხელისუფლების ჩიხური პოზიციის შესახებ. ასევე ვთხოვეთ დაეფიქსირებინა საკუთარი პოზიცია, მისთვის დამახასიათებელი პრინციპულობით.

– რა პასუხი მიიღეთ ვენეციის კომისიისგან?

– ვენეციის კომისიამ მოგვწერა, რომ იგივე პოზიციაზეა, რაზეც იყო. მათ მიაჩნიათ, რომ აუცილებელია პოლიტიკური პარტიებს შორის კონსენსუსი. ოღონდ ეს კონსენსუსი უნდა განიხილებოდეს ვენეციის კომისიის რეკომენდაციებთან დაკავშირებით.

– ჩუგოშვილი კი აცხადებს, რომ ჯანი ბუკიკიოს იმაზე მეტ პასუხისმგებლობას აკისრებს ოპოზიცია, ვიდრე აკისრიაო.

– ნუ ნერვიულობს ჩუგოშვილი. მათ ინერვიულონ სწორედ იმ ხისტ პოზიციაზე, რომელიც „ქართულ ოცნებას“ აქვს. ოპოზიციის მაგივრად ნუ ინერვიულებს ჩუგოშვილი. „ქართული ოცნების“ პოლიტიკა საპირისპირო მიმართულებით მიდის ვენეციის კომისიის რეკომენდაციებისგან.

– რამდენად გაქვთ ამ ფონზე კონსენსუსის იმედი? წამოვა ამაზე უმრავლესობა? ბესელია აცხადებს, რომ ბევრად უკეთეს კონსტიტუციას ვიღებთ, ვიდრე აქამდე იყოო.

– ეს არის დიდი ტყუილი! ეს ხალხი საკუთარ თავს იტყუებს.

– არ არის ერთსულოვნება ოპოზიციაში?

– ვიტოვებ იმედს, რომ ოპოზიციურ პარტიებში ერთიანი დამოკიდებულება შენარჩუნდება და არც ერთი პოლიტიკური პარტია არ „გაუპრავებს“ მაჟორიტარულ სისტემას ხელისუფლებას, ბლოკების სანაცვლოდ.

– თუმცა, როგორც ჩანს, თქვენც გაქვთ ეს მოლოდინი.

– თუ ეს მაინც მოხდა, ეს მათი პასუხისმგებლობა იქნება. ოპოზიცია უნდა იყოს ერთიანი. თუ ჩვენ გვინდა, რომ საარჩევნო სისტემა გავიტანოთ და პროპორციულ სისტემაზე გადავიდეთ, ჩვენ გვერდით იდგეს ვენეციის კომისია, საჭიროა ჩვენი ერთიანობა. თუ ხელისუფლება ვერ დაშლის ოპოზიციას, მაშინ მოუწევს პროპორციულ სისტემაზე გადასვლა და ოპოზიციასთან ამ თემაზე საუბარი! ხოლო თუ მოახერხა და შეძლო პატარ-პატარა პარტიებთან გარიგება, მაშინ პროცესი ცოტა გართულდება. თუმცა ამ სისტემის „გაპრავებას“ ხელისუფლება მაინც ვერ მოახერხებს!

ვახტანგ მაისაია: „რუსეთს ბაქო-სუფსის ნავთობსადენის ხელში ჩაგდება სურს“

გულიკო ბალაძე

ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში ვახტანგ მაისაია „ახალ თაობასთან“ აანალიზებს შიდა ქართლში რუსეთისა და მისი საოკუპაციო ჯარის ქმედებებს და, შესაბამისად, საჭირო ღონისძიებებზე საუბრობს..

– ბატონო ვახტანგ, ბოლო დროს რუსმა ოკუპანტებმა კასპის რაიონის სოფელ ყარაფილაში გადმოწიეს საოკუპაციო საზღვარი. მას წინ უძღოდა საზღვრის გადმოწევის მთელი სერია. ითქვა, რომ ე.წ. საოკუპაციო საზღვრის იქით მოჰყვა ბაქო-სუფსის ნავთობსადენიც. თქვენ როგორ აფასებთ ამ პროცესს. რა არის რუსეთის მიზანი?

– მიზანი ძალიან კარგად არის გამოკვეთილი რუსეთის სამხედრო დოქტრინაში, რომელიც დუმამ ჯერ კიდევ 2015 წელს დაამტკიცა. ამ სამხედრო დოქტრინის 32-33-ე პარაგრაფში სიტყვასიტყვით წერია, რომ რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალები გამოყენებული იქნება მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში ეკონომიკური ინტერესების განსახორციელებლად. მართალია იხმარეს ტერმინია „მსოფლიო ოკუანეთი“ („მიროვაია ოკუანია“), მაგრამ იგივეა, რაც მსოფლიოს ნებისმიერ წერტილი. ამიტომ რუსეთის საოკუპაციო ძალები, რომლებიც იმყოფებიან საქართველოს ძირძველ ტერიტორიაზე, ასრულებენ თავიანთი ქვეყნის უმაღლესი მთავარსარდლის მიერ დამტკიცებულ დოქტრინალურ პრინციპებს.

– ანუ მიზანი ბაქო-სუფსის ნავთობსადენის ხელში ჩაგდება და კონტროლია?

– ბუნებრივია, რადგან ეკონომიკური ინტერესები არსებობს, ბაქო-თბილისი-სუფსის ნავთობსადენის ჩვენი კონტროლიდან გაყვანა-ამოქმედება, რუსეთის შეიარაღებული ძალები ამ ამოცანას ასრულებენ, რომ ხელი შეუწყონ თავიანთი ქვეყნის ეკონომიკური ინტერესების განხორციელებას, რომლის მთავარი ამოცანაა, არ დაუშვას საქართველოს სატრანზიტო ქვეყნის სტატუსის იმიჯის გამტკიცება, განსაკუთრებით, სამხრეთ-აღმოსავლეთის კორიდორის ფარგლებში, ანუ საუბარია კასპიისპირეთიდან, დავუშვათ, იგივე ხმელთაშუა ზღვის მიმართულებით ნახშირწყალბადების, ანუ ენერგორესურსების გადატანის საშუალება. რუსეთის შეიარაღებული ძალები ამ მისიას ასრულებენ.

– ნავთობსადენის გაჩერება და ნავთობის გადაზიდვის შეჩერება უნდათ?

– შეიძლება უნდათ მათი კონტროლის ქვეშ მოხდეს ნავთობის გადაქაჩვა.

– როგორ წარმოგიდგენიათ ამ პროცესის შეჩერება?

– რუსეთის ქმედება ეწინააღმდეგება საქართველოს ეროვნულ ინტერესებს. თუ აქამდე ეს ეხებოდა ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის ხელყოფას, ამ ნავთობსადენის მტრის ხელში ჩავარდნის შედეგად იკვეთება პრობლემები საერთაშორისო დონეზე, ეს არის საერთაშორისო ნავთობკორპორაციების ინტერესები, პირველ რიგში, კომპანია „ბიპი“. „ბიპის“ უკან დგას დიდი ბრიტანეთი. ბუნებრივია, ამ პროექტის განხორციელებით დაინტერესებულია თურქეთი და აშშ. ბუნებრივია, რომ ამ სამი ქვეყნის ინტერესებს პირდაპირ ავნებს. აქ თურქეთი შეიძლება არ იყოს მაინცდამაინც გამოკვეთილი, მაგრამ სუფსის ტერმინალის მეშვეობით ხდება ნავთობის გადატანა რუმინეთში, ბულგარეთში, ანუ აქ საუბარია დასავლეთის სახელმწიფოებზე, ევროკავშირზე,

გაგრძელება მე-5 გვერდზე

აფხაზეთის სასამართლოში გალის რაიონის ყოფილი გამგებლის საქმე გადაიხედება

მარიამ მჭედლიშვილი

ოკუპირებულ აფხაზეთში ისევ აქტუალურია პასპორტიზაციის თემა. არ არის გამორიცხული, რომ პასუხი მკაცრად აგებინონ იმ ყოფილ ჩინოსნებს, რომლებსაც ბრალდებათ ქართული მოსახლეობისათვის აფხაზური პასპორტების დარიგება.

აფხაზეთის სასამართლომ გააუქმა გალის რაიონის ყოფილი გამგებლის მიმართ გამოტანილი გამამართლებელი განაჩენი.

სასამართლომ დააკმაყოფილა აფხაზეთის გენპროკურატურის განაცხადი, რომლის თანახმად, საქმის მიმდინარეობისას პროცესუალური ნორმები დაირღვა.

ოჩამჩირის რაიონულმა სასამართლომ მაისში გამამართლებელი განაჩენი გამოიტანა გალის ადმინისტრაციის ყოფილი ხელმძღვანელის, ბესლან არშბას მიმართ.

ბრალდების მხარის განცხადებით, არშბა ხელმძღვანელობდა საპასპორტო კომისიას, რომელიც იბარებდა პასპორტისათვის აუცილებელ დოკუმენტაციას. ამ კომისიის გადაწყვეტილებით, 15 ათასამდე გალელს პასპორტები კანონის დარღვევით დაურიგდა. „აფხაზეთის მოქალაქეობის“ კანონის თანახმად, სხვა ქვეყნის მოქალაქეებს, რუსეთის გარდა, აფხაზეთის მოქალაქეობას არ აძლევენ. საქართველო აფხაზეთის რეჟიმისათვის სხვა სახელმწიფოა და ვინაიდან აფხაზეთის ქართველებს საქართველოს მოქალაქეობა აქვთ, მათ აფხაზეთის პასპორტები არ უნდა მისცენ.

პროკურატურის ვერსიით, უკანონოდ პასპორტები გაიცემოდა 2007-2014 წლებში.

ოჩამჩირის რაიონულმა სასამართლომ წარმოდგენილი მტკიცებულებები არასაკმარისად ცნო და არშბა გაამართლა. თუმცა, ახალი გარემოებების გამო, მოხდება მისი საქმის გადახედვა.

გამტყუნების შემთხვევაში, ყოფილ გამგებელს 150 ათასამდე რუბლის ჯარიმის სახით გადახდა მოუწევს, ან-3-დან 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთა.

მსგავსი ბრალდება წაყენებული აქვს ტყვარჩელის ყოფილ გამგებელს, თემურ გოგუას.

თემურ გოგუა იყო იმ მოხელეების სიაში, რომელთა გადადგომასაც

ქუჩაში გამოსული ოპოზიცია 2014 წლის მოვლენებისას ითხოვდა. იგი მაშინ გადააყენეს.

საპასპორტო სკანდალს აფხაზეთის დღევანდელი რეჟიმი მაშინდელი პრეზიდენტის, ალექსანდრე ანქვაბს უკავშირებს.

ხაჯიბმას მიერ კონტროლირებად მედიაში, არჩევნების შემდეგ გამოქვეყნდა მასალები იმაზე, თითქოს ანქვაბი უკონტროლოდ ურიგებდა აფხაზეთის პასპორტებს ქართველებს, მათ შორის, იმას, ვინც აფხაზეთში არ ცხოვრობდა. მისი საბოლოო მიზანი კი აფხაზეთის საქართველოში „შესვლა“ იყო.

ამჟამად ანქვაბი რიგითი დეპუტატია, მას პარლამენტში უმრავლესობა არ ჰყავს. მიუხედავად ამისა, საოკუპაციო რეჟიმი მას ებრძვის და პასპორტიზაციის თემასაც უსსენებს.

დღეს აფხაზეთში მცხოვრებ ქართველებს, რომლებსაც საქართველოს მოქალაქეობა აქვთ, ბინადრობის მოწმობებს სთავაზობენ. რაულ ხაჯიმბამ ასეთი მოწმობების გაცემის პირობა 2016 წლის დეკემბერში გასცა.

ეს თავიდანვე დისკრიმინაციად შეაფასეს საერთაშორისო ორგანიზაციებმა.

ამ დღეებში ეუთოში საქართველოს მუდმივი წარმომადგენლის მოადგილემ, მაკა ბოჭორიშვილმა, ეუთოს საბჭოს სხდომაზე განაცხადა, რომ რუსეთი ახდენს გალის რაიონის მოსახლეობის დისკრიმინაციას.

– რუსეთის გადაწყვეტილება, დაურიგოს გალის რაიონის ძირძველ ქართველ მოსახლეობას ბინადრობის მოწმობები, რომლებსაც უცხოელებსა და იმიგრანტებს აძლევენ, დისკრიმინაციაა. საკუთარ მიწაზე ადგილობრივი ქართველების უცხოელებად გამოცხადება, ადამიანის ფუნდამენტალური უფლებების შელახვაა, – განაცხადა საქართველოს წარმომადგენელმა.

ბინადრობის მოწმობებს თავად გალელებიც ეწინააღმდეგებიან. ამ მიზნით ერთმა ჯგუფმა ივნისში საპროტესტო აქციაც გამართა. იქ გალელებმა განაცხადეს, რომ აფხაზეთის პასპორტების მიღება სურთ. ამ მიზნით მათ მოითხოვეს აფხაზეთის ან რუსეთის მოქალაქეობა.

ვახტანგ მაისაია: „რუსეთს ბაქო–სუფსის ნავთობსადენის ხელში ჩაგდება სურს“

დასაწყისი მე-4 გვერდზე

დიდ ბრიტანეთზე, აშშ-ზე, რომელთა ინტერესებსაც უკვე აფერხებს ბაქო-სუფსის ნავთობსადენის რუსეთის კონტროლირებად სივრცეში გადასვლა. ამიტომ საერთაშორისო საზოგადოებამაც უნდა ამოიღოს ხმა, რადგან რუსეთის ქმედება მათ ეკონომიკურ ინტერესებსაც აზიანებს.

ჩვენ უნდა დავაფიქსიროთ, რომ რუსეთის მხრიდან არა მარტო საქართველოს, არამედ საერთაშორისო საზოგადოების ინტერესებიც ირღვევა.

– ქართულ მხარეს შეუძლია ძალის დემონსტრირებით შეაჩეროს ეს პროცესი, ვთქვათ, კონკრეტულ ადგილზე, ლოკალურად, ყარაფილაში?

– ასეთი რამ მხოლოდ ყარაფილაში არ ხდება. ბაქო-სუფსის 2-კილომეტრიანი მონაკვეთი ასევე არის რუსი ოკუპანტების ხელში. ამას დაემატება ყარაფილას მონაკვეთი და პირობითად ეს იქნება სამკილომეტრიანი მონაკვეთი, რომელსაც რუსული მხარე აკონტროლებს. არ არის გამორიცხული, დააზიანონ და შეაფერხონ ბაქო-სუფსის ნავთობსადენის მოქმედება.

– ამბობენ, რომ საოკუპაციო ხაზთან ძალის დემონსტრირება ომს გამოიწვევს. კონკრეტულად იმ ადგილზე რომ დავაყენოთ შეიარაღებული ძალა. თქვენი შეფასებით, საოკუპაციო ხაზის გაზრდისა და ოკუპაციის გაგრძელების ხელისშეშლისთვის ძალისმიერი შენაერთების განთავსება საოკუპაციო ხაზთან, ომს გამოიწვევს?

– მაშინ თავი დავუკრათ და ჩავბარდეთ, როგორც თავის დროზე ჩეხოსლოვაკია ჩაბარდა გერმანიას და ე.წ. ფარული ოკუპაციის მსხვერპლი გახდა. ან რეჟიმი უნდა შეიცვალოს და პრორუსული მთავრობა მოვიდეს. მაშინ რაზეა საუბარი? მაშინ უარი უნდა ვთქვათ 26-წლიანი დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობაზე. ეს არის კაპიტულანტობა. რუსეთი სვენებ-სვენებით შეიძლება თბილისამდე ჩამოვიდეს. რა განსხვავებაა, ყარაფილას ტერიტორიის ოკუპირებას მოახდენენ თუ თბილისის ოკუპირება? ამ შემთხვევაში ერთი და იგივეა.

– ანუ ჩვენმა ძალებმა დაიცვან?

– აქ უკვე არა მარტო ჩვენი ეკონომიკური ინტერესები იკვეთება, არამედ საერთაშორისო ინტერესებიც და დაუცველობა ვნებს ჩვენს საერთაშორისო იმიჯს. ამიტომ ჩვენ უნდა გამოვიყენოთ ჩვენი შეიარაღებული ძალები და დავიცვათ ჩვენი ენერგეტიკული ინტერესები. შეიარაღებული ძალები უნდა გამოვიყენოთ, რომ საერთაშორისო ენერგომაგისტრალი დაიცვან. მაშინ შეიარაღებული ძალები რისთვის გვჭირდება? აღლუმებისა და მარშირებისთვის გვჭირდება თუ რაში მდგომარეობს საქართველოს შეიარაღებული ძალების ყოლის მიზანი. მაშინ ვთქვათ, რომ ჯარი არ გვჭირდება და დავშალოთ. არ მესმის, შეიარაღებული ძალები რისთვის გვჭირდება, თუ მტერი ყოველ წუთში საოკუპაციო ხაზს აქეთ წევს და შენ კი რეაგირებას არ ახდენ.

– შეიარაღებული ძალები რომ დავაყენოთ და რუსებმა ისროლონ?

– ისროლონ, ჩვენ უნდა დავიცვათ ჩვენი ინტერესები თუნდაც შეიარაღებული ძალების გამოყენებით.

– საინტერესოა, რუსები სადამდე წამოვლენ?

– იქამდე წამოვლენ, სადამდე ჩვენ მივცემთ ამის უფლებას. ჩვენ უნდა გამოვიყენოთ ჩვენი შეიარაღებული ძალები და დავიცვათ ჩვენი ტერიტორია. მე ასე მოვიქცეოდი. მაშინ რაში სჭირდებათ ამდენი შეიარაღებული ძალა და რა არის შეიარაღებული ძალების ფუნქცია? ვერ ვხედავ ლოგიკას, რაში გვჭირდება შეიარაღებული ძალები? მხოლოდ საერთაშორისო მისიებში რომ მიიღონ მონაწილეობა და საერთაშორისო მშვიდობა დაიცვან? საერთაშორისო მისიებიც მნიშვნელოვანია და მნიშვნელოვან დავალებებს ასრულებენ, მაგრამ მთავარი ამოცანა საკუთარი ტერიტორიების დაცვაა.

– ეს რომ მოვიმოქმედოთ, მაშინ საერთაშორისო საზოგადოებაც გამოფხიზლდება.

– 2008 წელს რუსეთის ჯარს მშვიდობისმყოფელის სტატუსი ჰქონდა. ახლა ამას ვერ იტყვიან. ახლა რუსის ჯარს ოკუპანტის სტატუსი აქვს და არავითარი სამართლებრივი საფუძვლით არ იმყოფება ჩვენს ტერიტორიაზე.

– რუსეთს ახლა აწყობს საქართველოსთან ომის დაწყება?

– რუსეთს, ბუნებრივია, ახლა ომის დაწყება არ აწყობს. მთავარია, გასცე სამხედრო პასუხი.

– ჩვენ არ გვინდა საზღვრის დაფიქსირება, მაინც ხომ ფიქსირდება საოკუპაციო საზღვარი, მუდმივად აქეთ მოიწევს და არ უნდა შეაჩერო?

– დიახ, უნდა შეაჩერო.

– მეორე მხრივ, პატრულირების ახალი კომპონენტი გაჩნდა. შიდა ქართლის ერთ-ერთ სოფელში ოკუპანტებმა ეკლესიაში მიმავალი ორი ახალგაზრდა გაიტაცეს, გარკვეული ჩარევის შემდეგ, გამოუშვეს. ამას მოჰყვა სამოქალაქო პატრულირების შემოღება. 3-3 კაცი პატრულირებს. რა შედეგი შეიძლება მოიტანოს ამან?

– კარგი, პატრიოტული სულისკვეთებით გამსჭვალული ინიციატივაა, მაგრამ ეს სახელმწიფო სტრუქტურების ჩანაცვლებას ნიშნავს. პატრულირება სახელმწიფოს პრეროგატივაა და არა მოქალაქეების. როგორც ჩანს, თუ სახელმწიფო არ ავლენს ამგვარ ნებას, სამოქალაქო სექტორი აკეთებს ამას.

– როგორც ვიცი, ყარაფილაში პოლიციელები პატრულირებდნენ (ვაზაგა შვილი რომ ააფეთქეს, მაშინ ითქვა). 3-5 პოლიციელი იყო საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფელში. იმ სოფელში, ბოლოს ახალგაზრდები რომ გაიტაცეს, პოლიციელები პატრულირებდნენ თუ არა, ცნობილი არ არის. იგივე როლის შესრულება პოლიციას არ შეუძლია, რაც სამოქალაქო პატრულებს?

– პოლიციას მაინც არ აქვს ისეთი ქმედუნარიანობა, რომ წინააღმდეგობა გაუწიოს შეიარაღებული ოკუპანტების ქმედებას. ქვეყანა არის საომარ მდგომარეობაში. ერთ მხარეს არიან სამოქალაქო პირები, მეორე მხარეს კი რუსი ოკუპანტები, რომლებიც მიზნის მისაღწევად შეიარაღებულ ძალებს იყენებენ.

– პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ რასაც რუსეთი აკეთებს, პროვოკაციაა და იქ ჯარის ჩაყენება არ შეიძლებაო.

– მე იგივე პოზიციაზე ვარ. ვითარება კრიტიკულ ზღვარს უახლოვდება. საქართველოში საერთაშორისო ენერგოპროექტების რეალიზაცია ხდება და ქვეყნის ეკონომიკური იმიჯი უფრო ფუჭდება. საქართველო კარგავს იმ მიზიდულობას, რაც 26 წლის მანძილზე ჰქონდა. ეს არის მისი ენერგოტრანზიტულობის სტატუსი.

– ძალოვნების ჩაყენება ვითარების ესკალაციას ხომ არ გამოიწვევს?

– რა ვითარების ესკალაცია, ისედაც სიტუაცია ჩიხში შედის. ფაქტობრივად, ამის იქით სახელმწიფოს გამოსავალი არ აქვს. მაშინ ვთქვათ, რომ არ გვინდა ვიყოთ დამოუკიდებელი სახელმწიფო და გვინდა ვიყოთ მარიონეტები რუსეთის ოკუპაციის ქვეშ. ეს პირდაპირ ვთქვათ.

სააკაშვილი ჩავარდა ერთ უკიდურესობაში, ის რუსეთს აღიზიანებდა და ცხინვალში საბრძოლო ოპერაციები დაიწყო, რუსეთის პროვოკაციებს წამოეგო და საქართველო ძალიან მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო.

– როგორც ჩანს, სწორედ ამის ეშინია ხელისუფლებას. ამიტომ გამორიცხავენ საოკუპაციო ხაზთან ჯარის ჩაყენებას.

– მეორე უკიდურესობაა, როცა საქმე ეხება ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესებს, შენი სახელმწიფოებრიობის ფიზიკური შებღალვა ხდება (ამაზე მეტი ფიზიკური შებღალვა რა უნდა იყოს, დაიკავეს ბაქო-თბილისი-სუფსის ნავთობსადენი და ნავთობსადენი აღარ მოქმედებს, მორჩა) და შიშის გამო, რომ ვითარების ესკალაცია არ მოხდეს, უმოქმედოდ ხარ.

– სესია შვილმა განაცხადა, რომ რუსების კონტროლქვეშ ნავთობსადენის 3 კილომეტრიანი მონაკვეთი არ არის და ნუ ვამბობთ, რუსები 3 კილომეტრიან მონაკვეთს აკონტროლებენ.

– აბა, რამდენ კილომეტრს აკონტროლებენ? დაავიწყდათ, რომ 2015 წელს რუსებმა ხელთ ჩაიგდეს ნავთობსადენის ორკილომეტრნახევრიანი მონაკვეთი. მე მაქვს ამის დამადასტურებელი დოკუმენტები და მასალები. ამასთან დაკავშირებით არსებობს ცხინვალის მარიონეტული რეჟიმის წარმომადგენლის ხოხ გაგლოევის მუქარა, ჩვენც უნდა გადაგვიხადოთ გადასახადი, თუ გინდათ, ნავთობი გაატაროთო. ბაქო-თბილისი-სუფსის ნავთობსადენს ჩვენ ვაკონტროლებთ და ბიპიმ ჩვენ უნდა გადაგვიხადოს გადასახადიო. ახლა დამატებით კიდევ ჩაიგდეს ხელში ნავთობსადენის გარკვეული მონაკვეთი ყარაფილაში.

– თქვენ აცხადებთ, ბაქო-თბილისი-სუფსის ნავთობსადენი აღარ მოქმედებსო.

– აღარ მოქმედებს, როცა ნავთობსადენი ოკუპანტების კონტროლის ქვეშაა. ოკუპანტი ნავთობსადენის 1 კილომეტრის სიგრძის მონაკვეთსაც რომ აკონტროლებდეს, იქ ნავთობის გატარებას აზრი ეკარგება.

– მილში ნავთობი აღარ გადის?

– გადის თუ არა, ენერგეტიკის სამინისტროს უნდა ჰკითხოთ, მაგრამ თუ მილი არის ოკუპანტების კონტროლის ქვეშ, მაშინ ნავთობის გატარებას აზრი ეკარგება. ეს საქართველოს ამოაგდებს საერთაშორისო პროექტებიდან. რუსებმა მილი რომ ააფეთქონ, ნავთობსადენი ხომ ვეღარ იფუნქციონირებს? ფაქტია, რომ ეს ნავთობსადენი ოკუპანტების კონტროლქვეშ 2015 წელს მოჰყვა. გარდა ამისა, 200 მეტრი რჩება გორი-თბილისის მაგისტრალამდე. გორი-თბილისის მაგისტრალამდე თუ ჩამოვიდნენ და იქ გააკეთეს პოსტი, მაშინაც პროვოკაციაზე ვისაუბრებთ და არ გამოვიყვანთ შეიარაღებულ ძალებს?!

– თუკი ჯარი ჩადგება, შედეგი გათვლილი გვაქვს?

– რუსეთი ვეღარ გაბედავს მეორე ფრონტის გახსნას. უკრაინასთან ძალიან მძიმე ომს აწარმოებს. თუკი რუსეთი საქართველოსთან განაახლებს სამხედრო ოპერაციას, მიიღებს მძიმე სანქციებს. ეს იქნება სრული ეკონომიკური ბლოკადა. თუ რუსეთი ითავხედებს, შეიძლება მიიღოს პოლიტიკური და სამხედრო ტიპის ომებიც კი. მისი ეკონომიკა რთულ მდგომარეობაშია. რუსეთი კიდევ ასეთი ტიპის დარტყმას ვეღარ გაუძლებს.

30.699 მომხმარებელს რეფინანსირების განაკვეთზე მიბმულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთი არ შეეცვლება

საზოგადოება და ბანკებმა ცვლად საპროცენტო განაკვეთზე მიბმული სესხები მიმოიხილა.

2017 წლის 1 ივლისის მდგომარეობით ცვლად საპროცენტო განაკვეთზე მიბმული 30.699 სესხია გაცემული. მათი აბსოლუტური უმრავლესობა რეფინანსირების განაკვეთზეა მიბმული. შესაბამისად, მსესხებლებს საპროცენტო განაკვეთი არ შეეცვლებათ, რადგან საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 7,0 პროცენტზე დატოვა.

დღესდღეობით ცვლად საპროცენტო განაკვეთზე მიბმული 1,355.0 მლნ ლარის მოცულობის სესხია გაცემული.

1 ივნისიდან 1 ივლისამდე გაცემული სესხების რაოდენობა გაიზარდა 1.130-ით, ხოლო მთლიანი პორტფელი – 1,236.6 მილიონიდან 1,355.0 მილიონ ლარამდე.

30.699 ხელშეკრულებიდან 15.267 სამომხმარებლო სესხია. მოცულობა კი 188,9 მილიონი ლარი. ლარში გაცემული სამომხმარებლო სესხის საშუალო შეწონილმა საპროცენტო განაკვეთმა 1 ივლისისთვის 14.4% შეადგინა.

რაოდენობრივად მეორე ადგილზეა იპოთეკური ტიპის სესხები. რეფინანსირების განაკვეთზე 1 ივლისის მონაცემებით 10.707 სესხია მიბმული, საშუალოდ 10,9%-ში. მთლიანი პორტფელი კი 440,6 მილიონი ლარია.

2.918 ხელშეკრულებაა გაფორმებული ბიზნესსესხების გასაცემად. მთლიანი პორტფელი 689,36 მილიონი ლარია. აქედან მცირე და საშუალო ბიზნესის დასაფინანსებლად ბანკებმა 132,4 მილიონი ლარი გასცეს, საშუალოდ 12,9%-ში. ხოლო მსხვილი ბიზნესი კი, 1 ივლისის მონაცემებით, 557 მილიონი ლარით დააკრედიტეს, საშუალო შეწონილ 11.9%-ში.

ყველაზე მცირე რაოდენობით გაცემულია რეფინანსირების განაკვეთზე მიბმული ავტოსესხი. სულ 1 ივლისის მონაცემებით 273 ხელშეკრულებაა გაფორმებული. 3876 ათასი ლარი ბანკებმა საშუალოდ 14,01%-ად გაასესხეს.

ასევე გაცემულია 1.534 ცვლად საპროცენტო განაკვეთზე მიბმული სესხი, რომელთა კონკრეტული მიზნობრიობა უცნობია. ამ სესხების მთლიანი მოცულობა 32,3 მილიონი ლარია.

ცვლად საპროცენტო განაკვეთზე მიბმული სესხები 1 ივლისის მდგომარეობით ლარში გაცემული მთლიანი საკრედიტო პორტფელის 17,5%-ია. მათ შორის ყველაზე მეტია ბიზნესსესხი, ხოლო ყველაზე დაბალი საპროცენტო განაკვეთი იპოთეკურ სესხებზეა.

მაღალი წლიური ინფლაციის მიუხედავად, ინფლაციის დონე წინა თვესთან შედარებით 0.4%-ით შემცირდა, ხოლო სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი წინა თვესთან შედარებით 0.5%-ით გაიზარდა.

სტაბილური გაცვლითი კურსის პირობებში, მოსალოდნელია ინფლაციის შემცირება შემდგომ პერიოდში.

ბიზნესმედია

ტყვიის გადამეტებული ოდენობა ადგილობრივ საქონლის ხორცში აღმოჩნდა

მომხმარებელი.გე სურსათის ტყვიის შემცველობაზე შემოწმების შედეგებს აქვეყნებს.

– ვინაიდან სურსათის ეროვნულმა სააგენტომ (სეს) საკმარისად არ გაავრცელა სუნელებისა და სხვა პროდუქტების ტყვიის შემცველობაზე შემოწმების დეტალური შედეგები, ეს მონაცემები გამოვითხოვეთ სესიდან და ვაქვეყნებთ. იხილეთ სეს-ის მიერ 2015-2017 წლებში ტყვიის შემცველობაზე შემოწმებული იმ დასახელების სუნელების სია, რომლებიც ნიუ-იორკის ჯანმრთელობის დეპარტამენტის გაფრთხილებაში იყო შეტანილი, – განმარტავენ მომხმარებელი.გე-ში.

მოწოდებული ინფორმაციიდან ირკვევა, რომ 2017 წელს ტყვიით დაბინძურებული ოთხივე ნიმუში ზუგდიდშია აღმოჩენილი და იდენტიფიცირებულია, რომ ერთ-ერთი პროდუქტი იმპორტირებულია.

2017 წელს საზოგადოების მხრიდან საკითხისადმი გამოხატული დიდი ინტერესის შედეგია, რომ სუნელების გაცილებით მეტი ნიმუში შემოწმდა, ვიდრე წინა წლებში, მიუხედავად იმისა, რომ სეს-მა ნიუ-იორკის ჯანმრთელობის დეპარტამენტის გაფრთხილება ქართულ სუნელებში ტყვიის გადაჭარბებული ოდენობის შემცველობის შესახებ 2015 წელს მიიღო.

– ტყვიის გადამეტებული ოდენობა უმეტესად, ადგილობრივი საქონლის ხორცში და ადგილობრივი წარმოშობის სხვა სურსათშია (მათ შორის, სასმელ წყალში) აღმოჩენილი. ეს, სავარაუდოდ, გარემოს ტყვიით დაბინძურების შედეგია.

სიაში მითითებულია, რომ შემთხვევების უმეტესობასთან დაკავშირებით შეტყობინება გაიგზავნა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში და სამინისტროდან მიღებული პასუხის მიხედვით, სამინისტრო შესაბამის მუნიციპალიტეტებში ნიადაგისა და ზედაპირული წყლის კვლევას ახორციელებს. თუმცა, დაბინძურების მიზეზების შესახებ არაფერია აღნიშნული.

აუცილებელია, რომ დაბინძურების ყველა შემთხვევის მიზეზები იქნას გამოკვლეული და შესაბამისი ზომები იქნას მიღებული მავნე ნივთიერებების ზემოქმედებისაგან მოსახლეობის დასაცავად.

ჩვენ მივმართეთ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის, ფინანსთა და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური სამინისტროებს და სურსათის ეროვნულ სააგენტოს, ტყვიით დაბინძურების ყველა შემთხვევის მიზეზების კვლევის შედეგების მისაღებად და ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციას მომავალშიც გამოვაქვეყნებთ, – განმარტავენ მომხმარებელი.გე-ში.

საქართველოში ირანული მელატ ბანკი შემოდის

საქართველოში ირანული მელატ ბანკი შემოდის.

ირანის სავაჭრო პალატის გენერალური დირექტორი რაჰიმ აბაჩი „კომერსანტთან“ ექსკლუზიურად აცხადებს, რომ ბოლო პერიოდში აღნიშნულმა საბანკო ინსტიტუტმა აქტიურად დაიწყო ირანულ მედიაში განცხადებების გაკეთება იმასთან დაკავშირებით, რომ სურვილი აქვს საქართველოს ბაზარზე შემოვიდეს.

მისი განცხადებით, მიმდინარე წლის მაისში ითქვა, რომ საქართველოში მელატ ბანკი რამდენიმე თვეში შემოვიდოდა.

– თუმცა, რა იქნება მომავალში და ნამდვილად შემოვა თუ არა მელატ ბანკი საქართველოში, არ ვიცი, – აცხადებს რაჰიმ აბაჩი.

მისივე თქმით, ვიდრე ირანთან დაკავშირებით ფინანსური სანქციები არ მოგვარდება, ქვეყანაში ირანული ბანკის შემოსვლას აზრი არ ექნება.

– ბანკი თუ შემოვიდა და საბანკო ტრანზაქციები ვერ განახორციელა, რა აზრი აქვს, რისთვის შემოვიდეს? – აცხადებს რაჰიმ აბაჩი.

საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩმა ირანისა და პაკისტანის ისლამურ რესპუბლიკებში, იოსებ ჩახვაშვილმა „კომერსანტს“ რამდენიმე დღის წინ ექსკლუზიურად განუცხადა, რომ იმ დრომდე, ვიდრე ქვეყანაში ირანული ბანკი არ გაიხსნება, ფულადი გადარიცხვების პრობლემა იქნება.

– რამდენიმე თვის წინ პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი ირანში ვიზიტით იმყოფებოდა, სადაც ირანის პირველ ვიცე-პრემიერ ესჰაყ ჯაჰანგირს შეხვდა. შეხვედრაზე ორ ქვეყანას შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებაზე იყო საუბარი. შესაძლოა, ამ ურთიერთობის ფარგლებში საქართველოში ირანული ბანკის შემოსვლაც მოხდეს, – განუცხადა „კომერსანტს“ ჩახვაშვილმა.

ირანის სავაჭრო პალატის გენერალურ დირექტორ რაჰიმ აბაჩისთვის ამ დროისთვის უცნობია, მელატ ბანკმა ეროვნულ ბანკს საბანკო ლიცენზიის მისაღებად უკვე მიმართა თუ არა, თუმცა, განმარტავს, რომ საკითხი მოლაპარაკებების დონეზე განიხილება.

მისთვის მოლაპარაკებებთან დაკავშირებით კონკრეტული დეტალები უცნობია.

საქართველოს ბაზარზე ირანული მელატ ბანკის შემოსვლის შემდეგ ორ ქვეყანას შორის საბანკო გადარიცხვებს, სავარაუდოდ, მხოლოდ ის მოემსახურება.

კომერსანტი

დიღმის ტყე-პარკის ტერიტორია მფლობელს მერიამ დიღმის ჭალების ტერიტორიაში გაუცვალა

– დიღმის ტყე-პარკის ტერიტორია მფლობელს მერიამ დიღმის ჭალების ტერიტორიაში გაუცვალა.

ამის შესახებ თბილისის მერმა დავით ნარმანიამ „საქმიან დილასთან“ საუბრისას განაცხადა.

მისი თქმით, კომპანიას, რომელიც ტყე-პარკის ტერიტორიას ფლობდა, ის სამშენებლო მიზნით სურდა და კომპანია „3 დეს“-თან მოლაპარაკებები მიწის მონაცვლეობაზე უკვე დასრულებულია.

მერის განცხადებით, ტყე-პარკის ფართობებს ჯამში 47 მესაკუთრე ჰყავდა. მომავალ კვირას გადაეცემა 2,5 ჰა მიწის ნაკვეთი კიდევ ერთ კომპანიას, რომელიც ასევე მიწას ფლობდა დიღმის ტყე-პარკში.

ტყე-პარკის ნაწილი ქალაქს უბრუნდება. საუბარია 10.000 მ² მიწის ნაკვეთზე.

ბიზნესმედია

რა ღირს ანაკლიაში დასვენება

ანაკლიაში ზღვის სეზონი აქტიურ ფაზაშია. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო დღეებში წვიმდა, ადგილობრივები დამსვენებლების სიმცირეს არ უჩივიან.

უკვე აშენებულ-გარემონტებული საოჯახო და კერძო სასტუმროების კვალდაკვალ, ახალი მშენებლობებიც მიმდინარეობს.

ანაკლიაში დასაქირავებელი ბინის ფასები დღეღამეში 30 ლარიდან იწყება. სხვა კურორტების მსგავსად, აქაც ფასი ბინის ადგილმდებარეობასა და კეთილმოწყობაზეა დამოკიდებული. დამსვენებელთა ერთი ნაწილის თქმით, თბილისთან შედარებით, ანაკლიაში ყველაფერი ორმაგი ღირს, თუმცა ზღვისპირიდან ოდნავ მოშორებით, შეღავათიანი ფასებია.

ანაკლიაში მყოფი დამსვენებლების თქმით, „ჯემ ფესტის“ დღეებში საკმაოდ სიძვირე იყო და 40-თეთრიანი წყალი 2 ლარი ღირდა, კოკა-კოლა – 2-2.50 ლარი, ენერგეტიკული სასმელი – 7 ლარი, ლუდი – 4-5 ლარი, ყავის ფასი კი 3-დან 6 ლარამდე ადიოდა. თუმცა, არასაფესტივალო დღეებში ფასები შედარებით იკლებს.

– ფესტივალზე სასტუმრო „პალმ ბიჩში“ ვისვენებდით, სადაც ერთი ნომერი 200 ლარი ღირს. ამ ფასში შედის საუზმეც. ფასების მხრივ, საკმაოდ სიძვირეა სასტუმროს გარეთაც, – გვითხრა ანაკლიის დამსვენებელმა თაკო გოგსაძემ.

სიძვირეს უჩივიან საოჯახო სასტუმროს დამსვენებლებიც. თუმცა, მათი თქმით, სეზონის დასაწყისში ფასები უფრო მაღალი იყო, ვიდრე ახლა.

– 50-60-ლარიანი ნომრები ახლა 40-50 ლარად შეიძლება იპოვოთ. უბრალოდ, ადგილობრივები გაფრთხილდნენ და ყველას არ უშვებენ, რადგან მდგმურების გაპარვის ფაქტები დაფიქსირდა. ასე რომ, ახლა უმეტესად რეკომენდაციებით იღებენ დამსვენებლებს ოჯახებში. ასევე, აქტიურად მუშაობენ სხვადასხვა ტურისტული ორგანიზაციები, რომლებიც წინასწარ უთანხმდებიან დამსვენებელსა და საოჯახო სასტუმროს მეპატრონეს.

როგორც ვიცი, ვიღაცებმა მომავალი წლისთვისაც დაჯავშნეს ადგილები. რაც შეეხება სხვა ფასებს, ზღვიდან ოდნავ მოშორებით, საკმაოდ დაბალი ფასებია – ხაჭაპური – 6-8 ლარი, პიცა – 10-12-14 ლარი... თავიდან უფრო სიძვირე იყო, ამიტომ ზოგიერთი დამსვენებელი ზუგდიდში მიდიოდა საჭმელად. ამის გამო ადგილობრივებმა მნიშვნელოვნად დაწიეს ფასები... თუმცა, არის ძვირი კაფე-ბარებიც, სადაც ჭიქა წვენისა და ყავის ფასი 10 ლარიდან იწყება, მაგრამ მათ თავიანთი მომხმარებლები ჰყავთ, ძირითადად ტურისტები, – ამბობს თბილისელი დამსვენებელი ლევან ბახტაძე.

დამსვენებლების თქმით, მობილიზებულია პატრული და სასწრაფო. თუ ერთ-ორ შემთხვევას არ ჩავთვლით, შარშანდელისგან განსხვავებით, ქურდობის ფაქტები შემცირებულია.

– შარშან ძალიან ბევრი ჩიოდა, ჩანთა, საფულე და მობილური მოგვპარესო. წელს ეს საკითხი მეტ-ნაკლებად მოგვარებულია, – ამბობს ადგილობრივი კაფეს მეპატრონე ირაკლი ქობალია.

ლალი პაპასკირი, ბიბიენი

„პეკინის ქუჩა 90%-ით ცალმხრივი გახდება“

პეკინის ქუჩა 90%-ით ცალმხრივი გახდება.

ამის შესახებ „საქმიან დილას“ თბილისის მერმა დავით ნარმანიამ განუცხადა. მისი თქმით, ამ ეტაპზე მერიას 700-მდე რესპონდენტი ჰყავს გამოკითხული. საზოგადოების გამოკითხვის გარდა, ტექნიკური სამუშაოები მიმდინარეობს იმასთან დაკავშირებით, თუ სად უნდა განთავსდეს ავტობუსების ხაზი და ველობილიკები.

გახდება თუ არა პეკინის ქუჩა ცალმხრივი, მომავალ კვირას გახდება ცნობილი.

– ჩვენ გამოკითხვას ვატარებთ. 700-მდე რესპონდენტი გამოკითხული გვყავს და მიმდინარეობს გამოკითხვის შედეგების ანალიზი, თუ რამდენად ემხრობა მოსახლეობა პეკინის გამზირის გაცალმხრივებას. ამასთან, ტექნიკური მუშაობა მიდის იმისთვის, რომ გაკეთდეს ავტობუსების ხაზი, ველობილიკი, დამატებით ხეების დარგვა გვინდა. ადგილზე დაიდგმება საპარკე სკამები, გაკეთდება ბუჩქები. გვსურს, რომ მოძრაობა უფრო კომფორტული იყოს, – ამბობს ნარმანია.

ბიზნესმედია

სასამართლომ „თბილავიამშენის“ ყოფილი აქციონერების სარჩელი არ დააკმაყოფილა

თბილისის საქალაქო სასამართლომ სს „თბილავიამშენის“ ყოფილი აქციონერების სარჩელი, მოპასუხეების საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ მიმართ არ დააკმაყოფილა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ თბილისის საქალაქო სასამართლოდან აცნობეს, მხარის მიერ გაკეთებული განცხადებები იმასთან დაკავშირებით, რომ საქმეზე გადაწყვეტილება მცირე დროში, საქმის მასალების სრულყოფილი შესწავლის გარეშე იქნა მიღებული, უსაფუძვლოა.

– მხარეთა შორის დავის საგანს იმ გარიგებების ბათილად ცნობა წარმოადგენდა, რომელთა საფუძველზეც შპს „თბილავიამშენის“ პარტნიორებმა 100% წილი, ხოლო სს „თამ თბილავიამშენის“ 22-მა აქციონერმა კუთვნილი აქციები უსასყიდლოდ დაუთმეს სახელმწიფოს.

სასამართლო ეხმიანება მხარის მიერ გაკეთებულ განცხადებებს იმასთან დაკავშირებით, რომ საქმეზე გადაწყვეტილება მცირე დროში, საქმის მასალების სრულყოფილი შესწავლის გარეშე იქნა მიღებული.

საქმე სასამართლოში განსახილველად შემოვიდა 2013 წელს, მას შემდეგ ჩატარდა არაერთი სხდომა, დაიკითხნენ მოწმეები და გამოკვლეულ იქნა მრავალი მტკიცებულება. საქმის განხილვის პროცესში, უფლებამოსილების ვადის ამოწურვის გამო, რამდენჯერმე შეიცვალნენ მომხსენებელი მოსამართლე და კოლეგიის წევრები, მათ შორის თავდაპირველი მოსამართლე ლია ავალიშვილი.

2017 წელს, თბილისის საქალაქო სასამართლოში დაინიშნა 12 ახალი მოსამართლე და საქმეთა სიმრავლის გამო, მოსამართლეთა განტვირთვისა და სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით, მოხდა საქმეთა გადანაწილება ახლად დანიშნულ მოსამართლეებზე, რის გამოც საქმე გადაეცა მოსამართლე სოსო ღურწკაიას.

2017 წლის 28 ივნისის განჩინებით, დაკმაყოფილდა მოსარჩელე მხარის შუამდგომლობა სოსო ღურწკაიას აცილების თაობაზე, რის შემდეგაც „საერთო სასამართლოებში საქმეთა განაწილებისა და უფლებამოსილების სხვა მოსამართლისთვის დაკისრების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით, დადგენილი რიგითობის წესით აღნიშნული საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე ლევან მიქაბერიძეს.

ამდენად, ლევან მიქაბერიძე საქმეში ჩართო 2017 წლის ივნისიდან, ხოლო საქმე პროცესუალური თვალსაზრისით იმყოფებოდა მხარეთა შეკითხვების ეტაპზე, რაც იმას ნიშნავს, რომ საპროცესო მოქმედებათა უმრავლესობა უკვე ჩატარებული იყო.

ამასთან, სასამართლომ უზრუნველყო მხარეებს ესარგებლათ გონივრული ვადებით, მათ შორის საპაექრო სიტყვებისთვის სრულყოფილად მომზადების მიზნით. მოსამართლე ლევან მიქაბერიძეს საკმარისი დრო ჰქონდა სრულად გასცნობოდა საქმეს, ამავდროულად, საქმის თითოეული დეტალი, კოლეგიის ყველა წევრის მიერ სრულყოფილად იქნა შესწავლილი და საბოლოო გადაწყვეტილებაც, შესაბამისად გონივრულ ვადაში გამოცხადდა, – აღნიშნულია თბილისის საქალაქო სასამართლოს ინფორმაციაში.

მათი ცნობით, სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილება, მხარეებს კანონით დადგენილ დროს, გამოცხადებიდან 20-30 დღის ვადაში ჩაბარდებათ.

შსს-მ აჭარაში განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკი ამოიღო



შსს-ს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის ხელვაჩაურის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1969 წელს დაბადებული ლ.დ., განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის, გადაზიდვისა და საქართველოში უკანონოდ შემოტანის ბრალდებით, სარფის სასაზღვრო გამშვებ პუნქტში დააკავეს.

სამართალდამცველებმა, დაკავებულის პირადი ჩხრეკისას, 3 შეკვრად დაფასოებული, ბუპრენორფინის შემცველი 51 აბი ნარკოტიკული საშუალება ამოიღეს. გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულს ნარკოტიკული ნივთიერების შემცველი პრეპარატი საქართველოში თურქეთის რესპუბლიკიდან უკანონოდ შემოჰქონდა.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის, გადაზიდვის და საქართველოში უკანონოდ შემოტანის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და 262-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით).

ნიუპოსტი

ზუგდიდში „ვივუსის“ დაყაჩაღებისთვის 1 პირი დააკავეს



ზუგდიდში მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ვივუსის“ ობიექტის დაყაჩაღების ფაქტზე ერთი პირი დააკავეს.

შსს-ს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ზუგდიდის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1985 წელს დაბადებული ზ.ფ. ყაჩაღობის ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ნიღბიანმა ბრალდებულმა მიმდინარე წლის 23 ივლისს ზუგდიდში, კოსტავას ქუჩაზე, ტექნიკის მაღაზიაში მდებარე შპს „4 ფინანსის“ მოლარე-ოპერატორს იარაღის მუქარით 3.305 ლარი გასტაცა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

სამართალდამცველებმა ზ.ფ. მომხდარიდან 2 დღეში, ზუგდიდში დააკავეს. პოლიციამ გატაცებული თანხის ნაწილი ნივთმტკიცებად ამოიღო.

დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება ყაჩაღობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლით).

ქალის ქამრით ცემის გამო, მოძალადეს პატიმრობა შეეფარდა „გამიშვით და გვირაბიდან საერთოდ აღარ გამოვალ“

ოჯახში ძალადობაში ბრალდებულს ახალციხის რაიონულმა სასამართლომ აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობა შეუფარდა.

27 წლის კაცმა ქალს ფიზიკური დაზიანებები ქამრის გამოყენებით მიაყენა.

მოსამართლე გიორგი ლონდარიძემ დაცვის მხარის შუამდგომლობა – ბრალდებული გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლებულიყო, არ დააკმაყოფილა.

ადვოკატის თქმით, მისი დაცვის ქვეშ მყოფი თავს დამნაშავედ ცნობს, გარდა ამისა, წყვილს ჰყავს მცირეწლოვანი შვილი, მისი პატიმრობით ოჯახი შემოსავლის გარეშე რჩება, თავად კი სამსახურს კარგავს.

– ჩვენმა სიყვარულმა არაერთ სირთულეს გაუძლო, ოჯახიდან ორივე წამოვედით და ქირით ვცხოვრობთ. სახლში მცირეწლოვანი გვყავს, რომელსაც განსაკუთრებული კვება სჭირდება. გვირაბში ვმუშაობ და იქვე ვცხოვრობ. ახალციხეში კვირაში ერთხელ ჩამოვდივარ. გამიშვით და გვირაბიდან საერთოდ აღარ გამოვალ, აღარც სასმელს გავეკარები, – მიმართა ბრალდებულმა მოსამართლეს.

პროკურორ კახაბერ ლეკიშვილის ინფორმაციით, ძალადობა 23 ივლისს ღამის 02:00 საათზე მოხდა.

არაფიზიზელ მდგომარეობაში მყოფმა მამაკაცმა ქალს, ეჭვიანობისა და შელაპარაკების ნიადაგზე, ქამრით სცემა. მას დაზიანებები ხელისა და წელის არეში აღენიშნება. პროკურორის თქმით, ბრალდებულის მიმართ შემაკავებელი ორდერი ახალციხის რაიონული სასამართლოს მიერ ორჯერ – 30 აპრილსა და 8 ივნისს იყო გამოცემული, ბრალდებულის მიერ ქალის მისამართით სიტყვიერი შეურაცხყოფის გამო.

– მიუხედავად ამისა, ბრალდებულმა არაფრად ჩააგდო არც შემაკავებელი, არც დამცავი ორდერი და ისევ ჩაიდინა დანაშაული, – განაცხადა სასამართლოზე კახაბერ ლეკიშვილმა.

ბრალდებულის ოჯახის წევრები აცხადებენ, რომ მათი შვილი ქალთან, რომელზეც იძალადა, უკანონოდ ცხოვრობდა. მიუხედავად ამისა, სასამართლოზე იგი მოიხსენიებოდა, როგორც ბრალდებულის მეუღლე. მისი პირველი ცოლ-შვილი დედამთილ-მამამთილის ოჯახში ცხოვრობს. მას შემდეგ, რაც შვილი სხვა ქალის გვერდით შეამჩნიეს, დედ-მამამ იგი ოჯახიდან გამოაძევა.

27 წლის მამაკაცს ბრალი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილით წარედგინა, რაც ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის მიმართ ძალადობას, სისტემატურ შეურაცხყოფას, შანტაჟს, დამცირება გულისხმობს, რამაც ფიზიკური ტკივილი ან ტანჯვა გამოიწვია. ისჯება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ოთხმოცდან ას ორმოცდაათ საათამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე.

მომდევნო სასამართლო სხდომა 12 სექტემბერს 13:00 საათზე ჩაინიშნა.

„ჩემმა შვილმა იმ ავტომობილში უკანასკნელი წუთები დაჰყო“

რა შეუთვალა მაგდა პაპიძემ დედამთილს

შვილისა და მეუღლის მკვლელობაში ბრალდებული მაგდა პაპიძე დედამთილს, ლილი მინდიკაურს, ციხიდან პასუხობს.

საუბარია მოკლული ომარ ქაფიაშვილის დედის სარჩელზე, რომელმაც რძლის წინააღმდეგ სასამართლოში ქონებრივი დავა დაიწყო.

როგორც „ნიუპოსტს“ პაპიძის ადვოკატმა, ირმა ბრელიძემ განუცხადა, ბრალდებულს ის გუშინ ესაუბრა.

– მაგდა პაპიძე დავას არ აპირებს. ამბობს, თუ უნდა, წაიღოს და ცეცხლი წაუკიდოსო. ერთადერთი მისი პასუხი იყო, რომ გაკვირვებულია. მიკვირს ის ფაქტი, რომ ჩემმა შვილმა, იმ ავტომობილში დაჰყო უკანასკნელი წუთები, ეს ქალბატონი კი ამ მანქანაზე საერთოდ როგორ საუბრობსო. როგორ შეუძლია ამ მანქანის გაჩერება, ამ დრომდე როგორ არ წვავსო. სადავო პროცესებში შესვლას საერთოდ არ აპირებს, – განაცხადა ადვოკატმა.

26 წლის მაგდა პაპიძე 2015 წლის 20 დეკემბერს საკუთარი ქმრის, ომარ ქაფიაშვილისა, და მცირეწლოვანი შვილის, თორნიკე ქაფიაშვილის, სასტიკი მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ მამაკაცი თავში მიყენებული ჭრილობით გარდაიცვალა, ბავშვი კი, გაგუდულია.

მიუხედავად იმისა, რომ დაკავებული მაგდა პაპიძე ბრალს არ აღიარებდა, გამამტყუნებელი განაჩენი დადგა. პაპიძის საქმე ნაფიცი მსაჯულების პირობებში განიხილებოდა.

2016 წლის 4 ივლისს თბილისის საქალაქო სასამართლომ, ნაფიცი მსაჯულების ვერდიქტის საფუძველზე, ახალგაზრდა ქალს სასჯელის სახედ და ზომად უვადო პატიმრობა მიუსაჯა.

დიდუბეში კედლის ჩამონგრევას 1 მუშა შეეწირა

თბილისში, დიდუბეში, სოხუმის ქუჩაზე კედლის ჩამონგრევის შედეგად ერთი მუშა გარდაიცვალა.

კედლის ჩამონგრევა ე.წ. იტალიურ ეზოში ავარიული შენობის დემონტაჟისას მოხდა. ნანგრევებში სამი მუშა მოჰყვა.

გარდაცვლილი 40 წლის კაცია, რომელსაც ორსული მეუღლე და სამი შვილი დარჩა. სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ბრიგადამ ორი დაშავებული საავადმყოფოში გადაიყვანა.

ადგილზე სასწრაფო დახმარების, სახანძროს და პოლიციის ეკიპაჟები იყო მობილიზებული.

დიდუბის რაიონის გამგებლის, ირმა ზავრადაშვილის თქმით, დიდუბეში, იტალიური ეზოს საცხოვრებელი კორპუსის დემონტაჟის სამუშაოებს კერძო კომპანია „როიალ გრუპი“ ასრულებდა.

გამგებელი აღნიშნავს, რომ კომპანია გაფრთხილებული იყო, რომ საცხოვრებელი კორპუსის დემონტაჟისას უსაფრთხოების ზომები დაეცვა.

– კერძო კომპანია გაფრთხილებული იყო, რომ დაეცვა უსაფრთხოების ზომები. ორშაბათსაც გავაფრთხილეთ, თუმცა გარდაცვლილია ერთი ადამიანი და დაშავდა სამი. გარდაცვლილი წალენჯიხიდან არის. გამოძიება მიმდინარეობს, – განაცხადა გამგებელმა.

ოთარ კახიძე 500 ლარით დაჯარიმდა და 1 თვით იარაღის ტარება აეკრძალა

„ევროპული საქართველოს“ წევრი, პარლამენტარი ოთარ კახიძე აქციაზე იარაღის ტარების გამო 500 ლარით დაჯარიმდა. გარდა ამისა, მოსამართლე ნინო ყანჩაშვილის გადაწყვეტილებით, ოთარ კახიძეს იარაღის ტარება 1 თვის ვადით აეკრძალა. ოთარ კახიძე მოსამართლის გადაწყვეტილებას არ გაასაჩივრებს. როგორც კახიძემ მოსამართლეს განუმარტა, ის თავდაცვის მიზნით იარაღს „საკმაოდ ხშირად“ ატარებს.

– 2016 წლის 3 დეკემბრიდან ვატარებ იარაღს იმის გამო, რომ ჩვენს რეალობაში, განსაკუთრებით ოპოზიციონერები არ არიან დაცული თავდასხმებისგან, მაგალითისთვის კორცხელის ინციდენტიც საკმარისია, – განაცხადა ოთარ კახიძემ.

მისი თქმით, კანონის წინაშე ყველა თანასწორია და ის მოუწოდებს ყველას, შეკრებისა და მანიფესტაციების ადგილზე იარაღის ტარებისგან თავი შეიკავონ. ოთარ კახიძე 23 ივლისს „ევროპული საქართველოს“ ორგანიზებულ აქციაზე იარაღით იმყოფებოდა.

სარემონტო სამუშაოებისას მამაკაცი მეორე სართულიდან გადმოვარდა

უბედური შემთხვევა მოხდა თბილისში. ზაალ ქიქოძის ქუჩაზე. სარემონტო სამუშაოებისას 57 წლის მამაკაცი დაიღუპა. ადგილობრივების თქმით, მამაკაცს, რომელიც აივანზე გაყვანილობას ცვლიდა, სავარაუდოდ, დენმა დაარტყა, რის შემდეგაც ის მეორე სართულიდან გადავარდა და ადგილზე გარდაიცვალა.

გარდაცვალების ფაქტი დაადასტურეს შს სამინისტროშიც. მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება სსკ-ის 115-ე მუხლით დაიწყო, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

თურქეთმა რუსული საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი შეიძინა

თურქეთმა რუსული საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი ჩ-400 შეიძინა. ამის თაობაზე თავად პრეზიდენტმა ერდოღანმა განაცხადა.

– შესაბამის დოკუმენტებს ხელი უკვე მოეწერა, – თქვა თურქეთის პრეზიდენტმა.

რუსეთის პრეზიდენტის პრესმდივანმა პესკოვმა ერდოღანის განცხადებაზე კომენტარი არ გააკეთა.

გერმანიაში ნაცისტური იატაკქვეშეთის წარმომადგენლებს ასამართლებენ

გერმანიაში დასასრულს უახლოვდება იატაკქვეშა ტერორისტული ორგანიზაცია „ნაციონალ-სოციალისტური პარტიის“ წევრთა სასამართლო.

ხსენებული დაჯგუფება მხილებულია 10-მდე მკვლელობასა და 50 შეიარაღებული თავდასხმის განხორციელებაში. გამოძიებით დამტკიცებულია, რომ ტერაქტებისა და მკვლელობების ორგანიზებაში აქტიურად მონაწილეობდა ბეატა პშპენე. ის ნაცისტური იატაკქვეშეთის ერთ-ერთი მეთაური იყო.

აშშ-ის კონგრესში რუსეთის მიმართ დამატებით სანქციებს მხარი დაუჭირეს



ცნობილი ამერიკელი პოლიტიკოსი, სენატორი ჯონ მაკეინი კვლავ მწყობრშია. როგორც ცნობილია, მას თავში სიმსივნე აღმოუჩინეს. მაკეინმა ოპერაციაც გადაიტანა. მიუხედავად ამისა, ის კონგრესში მაინც გამოცხადდა, რათა რუსეთის მიმართ ახალი სანქციების შემოღებისათვის მხარი დაეჭირა.

კონგრესმენები მაკეინის გამოჩენას აპლოდისმენტებით შეხვდნენ.

კონგრესის ქვედა პალატაში კენჭისყრაზე ახალ კანონს ხმა 419-მა კონგრესმენმა მისცა, წინააღმდეგ მხოლოდ 3 წავიდა. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ახალი კანონი უკვე მოქმედებაში შევიდა. საამისოდ ის ჯერ სენატმა უნდა მოიწონოს, შემდეგ კი პრეზიდენტმა ხელი მოაწეროს.

ზოგიერთი რუსი ექსპერტი იმედოვნებს, რომ ტრამპი ხსენებულ კანონს დაბლოკავს.

– არ გამოვრიცხავ, რომ ტრამპმა კანონპროექტს ვეტო დაადოს, – თვლის რუსი პოლიტოლოგი სერგეი მარკოვი.

ცნობილი რუსი ამერიკანისტი ტარატუტა მიიჩნევს, რომ ტრამპი კანონპროექტს ხელს აუცილებლად მოაწერს, რადგან სხვა გამოსავალი აღარ დარჩა.

– სკანდალებმა, რომლებიც ტრამპის გარშემო აგორდა, მისი პოზიციები მკვეთრად შეარყია! თუკი ტრამპი კანონის დაბლოკვას შეეცდება, მის წინააღმდეგ ახალი სკანდალები აზვირთდება, ეს კი მის პოზიციებს კიდევ უფრო შეასუსტებს, – ამბობს ტარატუტა.

ტრამპი: „ასადი დაისჯება!“

ვაშინგტონში ლიბანის პრემიერი საიდათ ჰარირი ჩავიდა. ის პრეზიდენტმა ტრამპმა მიიღო.

მოლაპარაკებების ძირითადი თემა აშშ-ლიბანს შორის ურთიერთობები გახლდათ. ტრამპმა თავის ლიბანელ სტუმარს განუცხადა, რომ აშშ მომავალშიც მხარს დაუჭერს ლიბანს და ამჟამინდელი უზარმაზარი სირთულეების დაძლევაში დაეხმარება.

პრესკონფერენციაზე ტრამპმა განაცხადა, რომ აშშ სირიაში მშვიდობის აღდგენის მიზნით ყველაფერს იღონებს. საუბარია არა მხოლოდ ისლამური სახელმწიფოს განადგურებაზე, არამედ ასადის პასუხისგებაში მიცემაზეც.

– ასადმა ამაზრზენი დანაშაული ჩაიდინა, როცა მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ გაზი გამოიყენა! მე ის კაცი არ ვარ, ვინც ასეთ მხეცობაზე თვალს დახუჭავს! ასადი დაისჯება! – აცხადებს ტრამპი.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ᲙᲐᲚᲔᲘᲓᲝᲡᲙᲝᲠᲘ

145 ბავშვის მამა მრავალცოლიანობაში დამნაშავედ ცნეს

კანადის ბრიტანული კოლუმბიის პროვინციის სასამართლომ 61 წლის უინსტონ ბლეკმორი და მისი ყოფილი სიძე ჯეიმს ოლერი მრავალცოლიანობაში დამნაშავედ ცნო.

1990-დან 2014 წლის ჩათვლით, ბლეკმორი 24 ქალზე დაქორწინდა, მას 145 შვილი ჰყავს. მის 53 წლის სიძეს – ხუთი ცოლი. ორივეს ხუთ წლამდე პატიმრობა ემუქრება.

აღსანიშნავია, რომ ორივე წარსულში იესო ქრისტეს ბოლო წმინდა დღეების ფუნდამენტალური ეკლესიის ეპისკოპოსები იყვნენ. ბლეკმორი და ოლერი დასახლება ბაუნტიფულში სათვისტომოში ცხოვრობენ, რომელიც 1946 წელს დაარსდა და პოლიგამიის 1,5 ათას მიმდევარს აერთიანებს. ისინი თავად მოიპოვებენ საკვებს და მათი კომუნას ეკონომიკა ნატურალური გაცვლის პრინციპზეა აგებული.

მოსამართლემ ყურადღება მიაპყრო იმ ფაქტს, რომ ბლეკმორი არ უარყოფს იმ ფაქტს, რომ ბევრი ცოლი ჰყავს და რომ მისი ყველა ქორწინება ღმერთის მიერაა დალოცვილი.

ბლეკმორის ადვოკატი სასამართლო პროცესის დროს აცხადებდა, რომ თუ მის კლიენტს დამნაშავედ ცნობდნენ, ის მრავალცოლიანობის ამკრძალავ ნორმებს გაასაჩივრებდა.

ავსტრალიელი მკვლელი ზოოპარკში იმალებოდა და საკვებს ცხოველებს ჰპარავდა

ავსტრალიაში ყველაზე ძებნადი მკვლელი მალკოლმ ნადენი რამდენიმე კვირის მანძილზე ზოოპარკში იმალებოდა და საკვებს ცხოველებს ჰპარავდა. აღსანიშნავია, რომ მისი ისტორია მოცემულია წიგნში თჰე ჩონტრაცტორ-ი „ტერორიზმთან ბრძოლის ექვსი ნამდვილი ამბით“, რომელიც 25 ივლისს გამოიცა.

ორმაგი მკვლელობის ჩამდენი მამაკაცი 300 ჰექტარი ფართობის სამხეცეში 2005 წლის ბოლოს ჩასახლდა. ის იპარავდა სპილოებისთვის განკუთვნილ ბანანებს, ასევე რესტორნის სანაგვე ურნებიდან იღებდა ვადაგასულ პროდუქტებს, ეძინა მარტორქების გვერდით. ის ასე 2012 წლამდე იმალებოდა.

წიგნში თხრობა მაიკის, მელბურნელი მშენებლის სახელით მიდის, რომელიც ოდესღაც ადგილობრივ და უცხოურ სადაზვერვო ორგანიზაციებზე მუშაობდა. ის დამნაშავის ძებნაში იღებდა მონაწილეობას.

ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ ქალაქ დაბოს სამხეცეს თანამშრომელმა, სახელად როჯერმა, დაიჩივლა იმ უცნაური ინციდენტების თაობაზე, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ზოოპარკის ტერიტორიაზე. მაგალითად, ვიღაც თივის ტომრებს იმისთვის იყენებდა, რომ მარტორქის ვოლიერთად საძინებელი მოეწყო. გარდა ამისა, მის სახლში, რომელიც ზოოპარკის ტერიტორიაზე მდებარეობდა, იკარგებოდა რძე და პური, ხოლო იქვე მომუშავე დამლაგებელი მაიკს მოუყვა, რომ საძინებელში გადაეყარა მამაკაცს, რომელიც ახალი გამოსული იყო საშხაპედან და მას პირსახოცი სთხოვა.

უცნობმა მას უთხრა, რომ როჯერის ახლობელია, სიდნეიდან და რამდენიმე დღითაა ჩამოსული. მან მაიკს უცნობი აუწერა, რომელიც პოლიციას დაუკავშირდა და მის თანამშრომლებთან გასაუბრების შემდეგ მიხვდა, რომ საუბარი იყო ნადენზე, 32 წლის მამაკაცზე, რომელიც თავისი ბიძაშვილის მეგობარი გოგონას მკვლელობის, ასევე მანამდე, ნახევარი წლით ადრე, უგზოუკვალოდ დაკარგული ბიძაშვილი გოგონას და 15 წლის გოგონაზე სექსუალური ძალადობის გამო იძებნებოდა. ყველა დანაშაული დაბოში, ნადენის მშობლიურ ქალაქში იყო ჩადენილი.

როჯერის სახლში დამნაშავის კვალის აღმოჩენის შემდეგ პოლიციამ ზოოპარკში აქტიური პატრულირება დააწესა. იმის გამო, რომ ძებნილს საკვებთან ხელმისაწვდომობა გადაეკეტა, მან გალაპაგოსის ჯიშის კუს თავი მოაგლიჯა და მისი შიგნეულობა შეჭამა. ამის შემდეგ ზოოპარკი დაიხურა დამნაშავის მოსაძებნად, მაგრამ ვერ მიაგნეს. ზოოპარკის თანამშრომლების ნივთები კი რამდენიმე კვირის მანძილზე ისევ იკარგებოდა, ასევე იკარგებოდა სპილოებისთვის განკუთვნილი საკვები პროდუქტები. საბოლოოდ ნადენმა ზოოპარკის ტერიტორიიდან გაქცევა მოახერხა. 2011 წელს მან დაჭრა პოლიციელი. ის 2012 წელს დაიჭირეს. ნადენმა ჩადენილ დანაშაულებებში თავი დამნაშავედ ცნო. სასამართლომ ნადენს სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა.

სანტა-კლაუსებმა კოპენჰაგენში საშობაო კონგრესი გამართეს

დანიის დედაქალაქ კოპენჰაგენში 150-ზე მეტმა მამაკაცმა და ქალმა, რომლებიც სანტა-კლაუსების კოსტიუმებში იყვნენ გამოწყობილნი, თავი მე-60 ყოველწლიურ მსოფლიო საშობაო კონგრესზე მოიყარა. ამ ყოველივეს ამსახველი ვიდეოჩანაწერი ტვიტერზე საკუთარ მიკრობლოგში განათავსა ეი-ბი-სი ნიუსმა.

როგორც ვიდეორგოლისთვის თანდართულ კომენტარშია მითითებული, სამდღიანი კონგრესის პროგრამაში შედიოდა აღლუმი, ზღვაში ბანაობა და მოდების ჩვენება.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

განცხადებები

გთავაზობთ სამსახურს

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

● რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

მკურნალობა

● ალკოჰოლიზმი, „პახმელია“, „ზაპოი“, ალკოჰოლიზმისაგან გამოწვეული ნევროზი, უძილობა, აგრესიულობა, ღვიძლის პრობლემების მოწესრიგება – მცენარეული, შედეგიანი, მეტეხისა და ბეთლემის ტაძარში ნაკურთხი პრეპარატებით. პრეპარატები შეგიძლიათ შეურიოთ ფარულად საკვებში.სიგარეტის მიტოვება მცენარეული, უსაფრთხო გარანტირებული პრეპარატით. უკუჩვენება გამორიცხულია. ტელ: 599-45-88-66; 555-45-13-45.

● სტომატოლოგიური მომსახურეობა ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 130 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემები – გასტრიტი, კუჭის წვენის დაბალი და მაღალი მჟავიანობა, კუჭშეკრულობა, კუჭაშლილობა და ა.შ. ნერვული სისტემის, სახსრების, პოტენციის და კანის სხვადასხვა პრობლემების მოწესრიგება. ბეთლემისა და მეტეხის ტაძარში ნაკურთხი პრეპარატებით. პრეპარატები უსაფრთხოა. ტელ:558-34-36-24.

●კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომპანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

ცირეკიძემ ძიუდოს მსოფლიოს ჩემპიონატისთვის შემადგენლობა დაასახელა

ძიუდოში მსოფლიო ჩემპიონატი უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტში 28 აგვისტოდან 3 სექტემბრის ჩათვლით გაიმართება. საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ირაკლი ცირეკიძემ კი უკვე დაასახელა იმ ცხრა ძიუდოისტის ვინაობა, რომლებიც მსოფლიო ჩემპიონატზე იასპარეზებენ.

ცირეკიძემ უნგრეთში გასამართი მსოფლიო ჩემპიონატისთვის უძლიერესი შემადგენლობა შეარჩია. საქართველოს ნაკრების სელექციაზე გავლენა მინსკში ჩატარებულმა ევროპის ღია პირველობამაც იქონია, სადაც ქართველი ძიუდოისტები გადახალისებული შემადგენლობით წარდგნენ.

მსოფლიო ჩემპიონატის შემადგენლობის მიღმა დარჩა ეროვნული ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი ავთანდილ ჭრიკიშვილი, რომელმაც წონის შეცვლის შემდეგ მესამე ტურნირზე იასპარეზა და ისევ წარუმატებლად – მინსკში ჭრიკიშვილი ევროპის ღია პირველობას მეორე ტურიდან გამოეთიშა.

საქართველოს ნაკრების შემადგენლობა: ამირან პაპინაშვილი (60კგ); ვაჟა მარგველაშვილი (66); ამირან პაპინაშვილი (73); ზებედა რეხვიაშვილი (81); ბექა ღვინიაშვილი, უშანგი მარგიანი (90); ვარლამ ლიპარტელიანი (100); გურამ თუშიშვილი, ადამ ოქრუაშვილი (მძიმე).

გოგონებში კი 57კგ წონით კატეგორიაში მარიამ ჯანაშვილი, 70კგ წონით კატეგორიაში ნინო ოძელაშვილი და მძიმე წონით კატეგორიაში ელენე ქებაძე იასპარეზებენ.

კალათბურთელმა გოგონებმა ევროპა მარცხით დაიწყეს

წარუმატებლად დაიწყო ევროპის ჩემპიონატის ც დივიზიონში ასპარეზობა საქართველოს 16 წლამდე გოგონათა ნაკრებმა. ნინო ყიფშიძისა და შოთა იაქაშვილის გაწვრთნილმა გუნდმა ჯგუფური ეტაპის პირველი მატჩი მალტასთან 39:61 წააგო.

არადა, ქართველებმა მალტასთან თამაში შედეგიანად დაიწყეს და პირველი მეოთხედის 12:7, ხოლო მეორეს – 19:14 მოგების შემდეგ დიდი შესვენებისთვის 10 ქულით დაწინაურდნენ.

მეორე ტაიმში კი გუნდი სრულიად მოიშალა და თამაში ჩააგდო. მესამე პერიოდი 2:18 წავაგეთ, ხოლო დასკვნითი მეოთხედი – 6:22. მატჩი, რომლის დიდ შესვენებაზეც 10 ქულით ვიგებდით, საბოლოოდ 21 ქულით წავაგეთ.

საქართველოს ნაკრებში 8 ქულით საუკეთესო იყო მარი ოქროპირიძე, ხოლო ლიკა მიქიაშვილმა 6 ქულა და 10 მოხსნა მიითვალა.

შეგახსენებთ, რომ საქართველო 3-გუნდიან ჯგუფშია და მალტის შემდეგ კოსოვოს ნაკრებთან მოუწევს დაპირისპირება, რომელიც ტურნირის პირველ დღეს ისვენებდა. ჩვენებმა ჯგუფიდან გასვლის შანსი რომ შეინარჩუნონ, კოსოვოს უნდა მოუგონ.

ახალგაზრდული ფესტივალი – მედალი ისევ ძიუდოისტისგან



უნგრეთის ქალაქ გიორში მიმდინარე ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალზე საქართველოს გუნდს პირველი მედალი ძიუდოისტმა ბექა წიფიანმა (55კგ) მოუტანა.

ფინალურ შეხვედრამდე ბექამ 4 მეტოქე – შვედი ემილ ჰენრიკსონი, კვიპროსელი ლუკა ლუკასი, მოლდოველი ადილ ოსმანოვი და უკრაინელი ოლეგ ვერედიბა დაამარცხა. ფინალურ შეხვედრაში კი თურქ ძიუდოისტთან, მირაჯ აკუსთან წააგო და საქართველოს დელეგაციას ვერცხლის მედალი მოუპოვა.

გიორის ტატამზე გავიდა გოგა ჩხაიძეც (50კგ). საქართველოს ნაკრების ყველაზე მცირეწონიანმა წევრმა უმაღლესი სინჯის მედლისთვის ბრძოლის შანსი მეორე შეხვედრაში დაკარგა, როდესაც ბელარუსის წარმომადგენელთან დამარცხდა, თუმცა ასპარეზობა რეპეშაჟში გააგრძელა. აქ ბექამ პირველი შეხვედრა ესპანელ ჟაუმ ბერნაბეურიკოს ვაზარით მოუგო, შემდეგ კი ბულგარელ ლუბოსლავ გრიგოროვთან იპონით დამარცხდა და ტურნირს გამოეთიშა.

სპორტის სხვა სახეობების წარმომადგენელთაგან ფინალურ ეტაპზე გასვლა ჯერჯერობით ვერავინ მოახერხა. პირველივე წრეში დამარცხდნენ ჩოგბურთელები, საკვალიფიკაციო შეჯიბრება ვერ გაიარეს მოცურავეებმა, კანოისტებმა, ველოსიპედისტებმა და მძლეოსანთა იმ ნაწილმა, რომლებმაც უკვე დაამთავრეს შეჯიბრება.

საქართველოს ნაკრების დაუგეგმავი გამარჯვება

საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა სლოვენიის დაბა პოდჩეტრტეკში, სადაც მოსამზადებელ შეკრებას გადის, პირველი საკონტროლო მატჩი გამართა და რუსეთის სტუდენტური ნაკრები 97:86 დაამარცხა. ეს მატჩი არ იყო წინასწარ დაგეგმილი და მისი გამართვა სლოვენიაში გადაწყდა.

რუსეთის სტუდენტური ნაკრები, რომელშიც 3 კალათბურთელი ვთბლიგის კლუბში თამაშობს, მსოფლიო უნივერსიადისთვის ემზადება, რომელსაც 15-31 აგვისტოს ტაივანი უმასპინძლებს. რუსები სლოვენიაში მასპინძლებს ამხანაგურად უნდა გაჯიბრებოდნენ და ჩვენი გუნდის ხელმძღვანელობამ დამატებითი სპარინგ-მატჩის გამართვის შესაძლებლობა ხელიდან არ გაუშვა.

გუნდების მოლაპარაკების საფუძველზე, ეს გახლდათ სავარჯიშო ტიპის შეხვედრა და მწვრთნელები კალათბურთელების თამაშში ჩართვაში შეზღუდულები არ იყვნენ. თუმცა ილიას ზუროსმა გუნდში მყოფი 16 კალათბურთელიდან მხოლოდ 11 ათამაშა. შეგახსენებთ, რომ ბექა ბურჯანაძეს ტრავმის შემდგომი სარეაბილიტაციო პერიოდი უდგას და რუსებთან მატჩისთვის სათამაშო ფორმა არ ჩაუცვამს, ხოლო გოგა ბითაძე ეროვნულ გუნდს მოგვიანებით შეუერთდა და მასაც არ უთამაშია.

მატჩში მონაწილეობა ასევე არ მიუღიათ: ნოდარ გოგოძეს, ოთარ ფხაკაძეს, კახა ჯინჭარაძეს, ბესო ლეჟავას, გიორგი შარაბიძეს და ბექა ბექაურს. შესაბამისად, ილიას ზუროსმა 10 კალათბურთელი ათამაშა, რომელთაგან სასტარტო ხუთეულში დაინყეს: გიორგი ცინცაძემ, მაიკლ დიქსონმა, მანუჩარ მარკოიშვილმა, თორნიკე შენგელიამ და გიორგი შერმადინმა.

საბოლოოდ, საქართველოს ნაკრებმა 11-ქულიანი სხვაობით იმარჯვა. იყო ხარვეზები, მაგრამ მწვრთნელ-კალათბურთელები თვლიან, რომ პირველი მატჩის კვალობაზე ეს საგანგაშო არაა. სამაგიეროდ, იყო არაერთი გამართული და ზუსტად დაგვირგვინებული კომბინაცია. სტატისტიკა არ იწარმოებოდა, თუმცა, როგორც რუსეთის ნაკრების შტაბში, ისე ჩვენთანაც ითვლიდნენ ძირითად მაჩვენებლებს.

საქართველოს ნაკრებში 24 ქულით, 5 მოხსნით და 3 პასით თორნიკე შენგელია გამოირჩა. გიორგი შერმადინი ფარქვეშ დომინანტი გახლდათ და შეხვედრა ორმაგი დუბლით – 18 ქულითა და 11 მოხსნით დაასრულა. 2015 წლის სექტემბრის შემდეგ ნაკრებში პირველად ითამაშა მანუჩარ მარკოიშვილმა, რომელსაც გასული სეზონი ტრავმის გამო გაუცდა. მანუმ 5 სამქულიანი ჩააგდო და შეხვედრა 15 ქულით დაასრულა. დუდა სანაძემ 14 ქულა მიითვალა. ჩვენი გუნდის ძირითადმა გამთამაშებელმა, გიორგი ცინცაძემ შეხვედრა 9 ქულითა და 7 პასით დაასრულა. ჩვენი გუნდის ნატურალიზებულმა ამერიკელმა კალათბურთელმა მაიკლ დიქსონმა კი 11 ქულას მოუყარა თავი.

ბონუჩიმ იუვენტუსიდან წასვლის მიზეზი თქვა

ბოლო დროს დიდი მითქმა-მოთქმაა ატეხილი იტალიის ნაკრების მცველის, ლეონარდო ბონუჩის ტურინის იუვენტუსიდან მილანში გადასვლის თაობაზე. ბონუჩი ტურინული კლუბის დატოვების მიზეზებზე საჯაროდ პირველად ალაპარაკდა. როგორც 30 წლის ფეხბურთელმა იტალიურ მედიას განუცხადა, „ბებერ ქალბატონში“ თავს მნიშვნელოვან ფიგურად ვეღარ გრძნობდა.

ლეონარდო ბონუჩი:

– ცხოვრებაში ყველაფერს აქვს დასაწყისი და დასასრული. ახლა მოვიდა ის დრო, როდესაც იუვენტუსის და ჩემი გზები უნდა გაყრილიყო. არ ვფიქრობ, რომ მოღალატე ვარ, რადგან მე ამ გუნდს 7 წლის განმავლობაში ყველაფერი მივეცი. პირდაპირი ადამიანი ვარ და ამიტომ კონფლიქტი ბევრთან მქონია, თუმცა კარდიფის ფინალზე რაც ითქვა, სიმართლე არაა. სიმართლე ისაა, რომ პრობლემები მანამდე დაიწყო და მე იუვენტუსში თავს ვერ ვგრძნობდი მნიშვნელოვან ფიგურად. ამიტომ, 100 პროცენტით გუნდისთვის ვერ დავიხარჯებოდი. საბოლოოდ, მივედი იმ დასკვნამდე, რომ არც ერთ მხარეს არ გვსურდა თანამშრომლობის გაგრძელება. პალერმოსთან მომხდარი ინციდენტი, რასაც პორტუში განაცხადს მიღმა დატოვება მოჰყვა, ეს მხოლოდ ბოლო წვეთი იყო. მსგავსი მდგომარეობა ჩემს გარშემო ალეგრის მხრიდან მანამდეც შექმნილა.

იტალიელმა მცველმა რამდენიმე სიტყვა მილანისა და თავის მიზნებზეც თქვა:

– „როსონერი“ ბევრი მიზეზის გამო ავირჩიე. ამ გუნდს გააჩნია უდიდესი ისტორია და ასეთივე მომავალი. ერთ დროს ამ გუნდში დიდებული ფეხბურთელები თამაშობდნენ, მაგალითად, ნესტა, რომელიც ბავშვობაში ჩემი კერპი იყო. ახლა „როსონერიში“ ყველაფერი უკეთესობისკენ შეიცვალა და მეც მოვედი, რათა გავიმარჯვო. ჩემპიონთა ლიგაზე აუცილებლად უნდა დავბრუნდეთ და მეტიც, ვფიქრობ, რომ ამ არაჩვეულებრივი შემადგენლობით სკუდეტოსთვისაც ვიბრძოლებთ.

შეგახსენებთ, ლეონარდო ბონუჩი იუვენტუსში 2010-17 წლებში თამაშობდა, ხოლო მილანში რამდენიმე დღის წინ 42 მილიონი ევროს სანაცვლოდ გადავიდა.

რობერტო ბაჯო: „მილანი იუვენტუსს მეტოქეობას გაუწევს“

იტალიურმა მედიამ გაიხსენა რობერტო ბაჯო, რომლის ინტერვიუც იქაურ მედიაში გამოჩნდა.

– რომელ ფეხბურთელში ხედავთ თქვენს მემკვიდრეს?

– გამიჭირდება ერთი კონკრეტული ფეხბურთელის დასახელება. ცნობილია, რომ მე უფრო სამხრეთამერიკული ფეხბურთის მოყვარული ვარ და ბოკა ხუნიორსს ვგულშემატკივრობ. ბოკაში ძალიან ნიჭიერი ფეხბურთელი რიკარდო სენტურიონი თამაშობს, რომელიც ძალიან მომწონს. იმედია, კიდევ უფრო მოუმატებს და უკეთესად ათამაშდება, რადგან ამის პოტენციალი ნამდვილად აქვს.

– იტალიური ფეხბურთი არ გხიბლავთ?

– იტალიური ფეხბურთი სქემების ტყვეობაშია. მწვრთნელები ათასგვარ სტრატეგიას ხაზავენ თავში და შემდეგ ამ ნახაზების მიხედვით, ფეხბურთელებს ჩარჩოებში აქცევენ. დისციპლინა საჭიროა და მეტიც, აუცილებელია, მაგრამ ევროპაში და კერძოდ, იტალიაში ეს გადამეტებულად იციან. სწორედ ამიტომ მიყვარს სამხრეთამერიკული ფეხბურთი. მახსოვს, პარმაში გადასვლასთან ახლოს ვიყავი, მაგრამ ბოლო მომენტში ჩემი ტრანსფერი კარლო ანჩელოტიმ დაბლოკა – 4-4-2 სქემაში რობერტო ბაჯო ვერაფრით დაინახა.

– კარიერის მანძილზე ყველაზე უხერხულ მეტოქედ ვის მიიჩნევდით?

– თუ ფეხბურთელს გულისხმობთ, უდავოდ პაოლო მალდინი. უნიკალური ფეხბურთელი იყო, რომელსაც უბრალოდ არ ჰქონდა სუსტი მხარე. 15 მცველი უნდა შეაერთო, რომ ერთი მალდინი მიიღო. პაოლოს მასშტაბის მცველები 50 წელიწადში ერთხელ იბადებიან. პირადად მე, ყველაზე მეტად მის წინააღმდეგ მიჭირდა თამაში.

– რომელ გუნდს ჰყავს საუკეთესო გულშემატკივრები?

– ბოკა ხუნიორსის თამაშებზე სტადიონზე წარმოუდგენელი ატმოსფეროა – ეს ადამიანები აღმერთებენ გუნდს და გუნდის თითოეულ ფეხბურთელს. პირადად მე, განსაკუთრებულად მახსენდება ფლორენციელი გულშემატკივრები. როდესაც ფიორენტინაში ვთამაშობდი, ისინი ჩემ მიმართ უდიდეს სითბოს გამოხატავდნენ. იყო მომენტი, როდესაც მძიმე ტრავმა მქონდა, დიდი ხანი ჩამოვშორდი ფეხბურთს და ისინი ერთი წუთითაც არ მომშორებიან, მუდმივად გვერდით მედგნენ და სულ იმას მიმეორებდნენ, რომ ჩემთვის უსასრულოდ შეეძლოთ დალოდება. როდესაც იუვენტუსში გადავედი, ფიორენტინას ქომაგები ვითარებაში კარგად გაერკვნენ. მათ იცოდნენ, რომ ჩემი გაყიდვა კლუბის მესვეურებმა გადაწყვიტეს, რადგან მათ 25 მილიონი ლირის აღება სურდათ და პირდაპირ მითხრეს, რომ ეს ფული კლუბისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო. ამიტომ ფლორენციაში ყოველთვის თბილად მხვდებოდნენ.

– ახლახან ფედერიკო ბერნარდესკი ფიორენტინადან იუვენტუსში გადავიდა და თქვენთან გაავლეს პარალელები.

– ფედერიკოს დიდი წარმატება მინდა ვუსურვო, რადგან ნიჭიერი და პერსპექტიული ფეხბურთელია. მთავარია, ნაკლებად იფიქროს დიდებაზე და ბევრი იშრომოს. ბერნარდესკის რამდენიმე თამაში მაქვს ნანახი და ვფიქრობ, რომ მას კიდევ შეუძლია მომატება.

– რას გვეტყვით დღევანდელი მილანის პოლიტიკაზე?

– მილანი სატრანსფერო ბაზარზე ბევრ ფულს ხარჯავს და იმედია, იუვენტუსს ღირსეულ კონკურენციას გაუწევს. იტალიურ ფეხბურთს სკუდეტოსთვის ბრძოლა სჭირდება. რადგან არ შეიძლება ჩემპიონატს მუდმივად ერთი გუნდი იგებდეს. მე არ მყავს ფავორიტი გუნდი იტალიაში – ჩემი სურვილია, რომ სერია ა უფრო ძლიერი და კონკურენტუნარიანი იყოს.

შედეგები

25 ივლისი

ფეხბურთი

უეფას ჩემპიონთა ლიგა

ყარაბახი-შერიფი	0:0
სლავია-ბატე	1:0
აეკი-ცსკა	0:2
სტიაუა-პლზენი	2:2
ვარდარი-კოპენჰაგენი	1:0
პარტიზანი-ოლიმპიაკოსი	1:3

მოამზადა მისეულ ჟორჟოლიანმა

იუვენტუსმა თვალი გერმანელებს დაადგა

მას შემდეგ, რაც ტურინელებმა ფედერიკო ბერნარდესკის სატრანსფერო უფლება 40 მილიონ ევროდ მიიღეს, ხოლო ფეხბურთელთან კონტრაქტი 2022 წლამდე გაფორმდა, საინტერესო მოსაზრებები ვრცელდება იტალიურ მედიაში.

აპენინური გამოცემები ბერნარდესკის ტურინში ტრანსფერს კლუბის მხრიდან მიზანმიმართულ ნაბიჯად მიიჩნევენ. საქმე იმაშია, რომ იუვეს ოფისისთვის არგენტინელი მარგალიტი პაულო დიბალა ხელშეუხებელი ფიგურა სულაც აღარ არის და გუნდი მზადაა, 120 მილიონის სანაცვლოდ ფეხბურთელს შეელიოს.

ეს საუბარი მას შემდეგ უფრო აქტუალური გახდა, როდესაც ნეიმარზე და პსჟ-ზე აქტიურად იწერებოდა. თითქოს კატალონიელები ბრაზილიელის გასხვისებისთანავე მაროტასთან დარეკავდნენ და საქმიანი ვიზიტით ტურინს ეწვეოდნენ..

ახლა ეს საუბარი დროებით მიწყნარდა, რადგან ჯერ კიდევ გაურკვეველია ნეიმარის ბედი. მაგრამ რატომ და ვის შეუშლის ხელს დიბალას შეძენა? თუნდაც იმავე პსჟ-მ რომ გამოყოს შესაბამისი ბიუჯეტი? სადაც 220 ჰქონდათ გამზადებული ბარსასთვის, იქაც 120 არგენტინელისთვის. უბრალოდ აქ თემა უკვე ფეხბურთელის ნება-სურვილზე მიდის. დიბალასთვის ოცნება მესის გვერდით ყოფნაა და არა – ედინსონ კავანისთან.

ასევე საინტერესო ცნობები ქვეყნდება გერმანულ მედიაში.

ბილდის ცნობით, იუვენტუსი გერმანიის ნაკრების 2 ფეხბურთელისთვის მნიშვნელოვან სახსრებს ამზადებს.

მასიმილიანო ალეგრის თხოვნით, „ბიანკონერის“ მატს ჰუმელსის შეძენა სურს. ეს ტრანსფერი ბონუჩის მილანში გადასვლის შემდეგ გახდა აქტუალური. საამისოდ, იტალიელები 50 მილიონიანი ინვესტირებისთვის სრულ მზადყოფნაში არიან. ისიც ფაქტია, ამ 2 კლუბს ერთმანეთთან კარგი სატრანსფერო დამოკიდებულება აქვს და შეუძლებელი არაფერია.

მეორე მოთამაშე კი ემრე ჯანია, რომელსაც ლივერპულთან კონტრაქტი 2018 წელს უსრულდება და ფეხბურთელი გახანგრძლივებას არ ფიქრობს. კულუარული ცნობებით, ჯანს იუვეს ვარიანტი იზიდავს და მზადაა, ახალ ჩემპიონატში გადაბარგდეს. იუვე თავის მხრივ 20 მილიონის ინვესტირებისთვის არის მზად.

ჩოგბურთის ფედერაციას ხვიჩა მაქაცარია უხელმძღვანელებს

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში ჩოგბურთის ფედერაციის რიგგარეშე ყრილობა გაიმართა, რომელზეც ახალი პრეზიდენტი ხვიჩა მაქაცარია აირჩიეს.

მაქაცარიას წარდგენა საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის აწ უკვე ყოფილი პრეზიდენტის, ალექსანდრე მეტრეველის ინიციატივით მოხდა, რომელიც ამჯერად ფედერაციის პირველ ვიცე-პრეზიდენტად იქნა არჩეული.

ხვიჩა მაქაცარია ჩოგბურთის ფედერაციას მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში უხელმძღვანელებს. ის ბიზნესმენი და „სი ბი ეს“ ჯგუფის დამფუძნებელია.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

50 წლის სინგაპურელ მოდელს 20 წლის ახალგაზრდის გარეგნობა აქვს

სინგაპურის მცხოვრებმა ჩუანდო ტანმა სოციალურ ქსელებში პოპულარობა მას შემდეგ მოიპოვა, როდესაც ინტერნეტ-მომხმარებლებმა შენიშნეს, რომ ის თავის ასაკთან შედარებით ორჯერ უფრო ახალგაზრდულად გამოიყურება.

50 წლის ტანი მანეკენად მუშაობს. მამაკაცი დიდ დროს უთმობს სპორტს და ჯანსაღი კვების მიმდევარია. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად თავისი ასაკისა, მამაკაცს არ აწუხებს ნაოჭები სახეზე და სხვა რაიმე სახის ნაკლოვანებები.

ინსტაგრამში ტანის გვერდს 220 ათასამდე ხელმომწერი ჰყავს. ის რეგულარულად აქვეყნებს ცნობილ ადამიანებთან ერთად გადაღებულ ფოტოსურათებს, ასევე საკუთარი მუშაობის ამსახველ კადრებს და არც ეროტიკული ფოტოების გამოქვეყნებას ერიდება.

მიკი რურკი ბინის ქირის გადახდას თავს არიდებს



ამერიკელ მსახიობსა და მოკრივეს მიკი რურკს ნაქირავები ბინის გადასახადის სახით თითქმის 30 ათასი დოლარი დაუგროვდა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, კომპანია ჩროსსტოწნ ღეალტყ ßოლდინგს-მა სასამართლოში სარჩელი შეიტანა „ოქროს გლობუსის“ პრემიის ლაურეატის წინააღმდეგ, რომელშიც ამტკიცებს, რომ მას სამი თვის განმავლობაში არ გადაუხდია ბინის ქირა, რომელიც ნიუ-იორკის ტრაიბეკის რაიონში ჰქონდა ნაქირავები.

ასევე აღსანიშნავია, რომ 64 წლის რურკის აპარტამენტებში ცხოვრების შემდეგ მის კედლებზე ხვრელები გაჩნდა, ხოლო ჭერზე დისლისებური განათებები. რემონტის ხარჯები მსახიობს არ აუნაზღაურებია, განაცხადეს მოიჯარეებმა. მათ მსახიობის მიერ მათი ქონებისთვის მიყენებული ზარალი თითქმის 10 ათას დოლარად შეაფასეს. ამას დაემატება გადაუხდელი ბინის ქირა და სასამართლო ხარჯების ანაზღაურება, რაც საბოლოოდ 29 ათას დოლარს გადააჭარბებს.

არც თავად მსახიობს და არც მის წარმომადგენელს ამ ფაქტის თაობაზე კომენტარი არ გაუკეთებიათ.

სამხრეთ აფრიკაში ბეჰემოთმა ავტოგასამართ სადგურზე შეისეირნა

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში ბეჰემოთმა ქალაქ სენტ-ლუისის ქუჩებში გაისეირნა და ერთ-ერთ ადგილობრივ ავტოგასამართ სადგურს ეწვია.

მომხდარის ვიდეოჩანაწერი ავტომოყვარულმა ინეს მინიმ გააკეთა, რომელიც შემდეგ ერთ-ერთმა ადგილობრივმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

აღსანიშნავია, რომ ბეჰემოთები მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე საშიშ ცხოველებად არიან აღიარებულები. ისინი გამოირჩევიან აგრესიულობით და ამოუცნობი ქცევით. ამ შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა. გავრცელებული ინფორმაციით, ბეჰემოთი ავტოგასამართ სადგურს გაეცალა, დაახლოებით 100 მეტრი გაიარა და იქვე მდებარე მდელოს შეაფარა თავი.

ლოს-ანჯელესში ტეკილას შადრევნები დადგეს

ლოს-ანჯელესში ტეკილას სასმელი შადრევნები დადგეს. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს. ეს სიახლე ტეკილას ეროვნულ დღეს მიეძღვნა, რომელსაც აშშ-ში 24 ივლისს აღნიშნავენ.

სასმელის შადრევნები ქალაქში მხოლოდ ერთი დღით სამ ადგილას დაიდგა: სავაჭრო ცენტრ ßოლლყწოოდ & ßიგჰლანდ-ში, ვენის-ßიჩსა და გეი-ßარ თჰე ßßßეუ-ში, რომელიც დასავლეთ ჰოლივუდში მდებარეობს. მათ ფუნქციონირება ორშაბათს შუადღეს დაიწყეს და აქცია იმავე დღეს საღამოს დასრულდა.

ტეკილას ყოველ თაყვანისმცემელს თავისი რიგის მოცდა 10 წუთიდან ერთ საათამდე მოუხდა, რაც სასმელის დაგემოვნების დიდი რაოდენობით მსურველებით იყო გამოწვეული.

აღსანიშნავია, რომ უფასო სასმელთან დაიშვებოდნენ მხოლოდ სრულწლოვანები (21 წელს გადაცილებულები). შადრევნიდან ტეკილას მოსმის მსურველს პირადობის მოწმობა უნდა წარედგინა. ობიექტების მახლობლად მუდმივად იმყოფებოდნენ უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლები.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

საქართველოს ვეტერანი და მოყვარული ჩოგბურთელების ფედერაცია ვუერთდებით მცხეთის „საჭაშნიკის“ დამფუძნებლების: კოლორიტული ქართველის, მცხეთის საპატიო მოქალაქის, ბატონი დიმიტრი ალავიძის, ბატონი ჯემალ ტოგონიძის, დირექტორის, ბატონი ჯუმბერ ტოგონიძის, დირექტორის მოადგილეების, ქალბატონი შორენა შავიშვილისა და ბატონი პაატა ნოზაძის და მთლიანად „საჭაშნიკის“ კოლექტივის დიდ სიხარულს, გამოწვეულს მცხეთის საოლობიეს დაარსებიდან **50 წლის იუბილის** გამო. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, დიდ სიხარულს, წინსვლასა და წარმატებებს.

პატივისცემითა და კეთილი სურვილებით, საქართველოს ვეტერან და მოყვარულ ჩოგბურთელთა სახელით, მირიან ანდრიაძე და ზაზა მახარობლიძე

მადლობის წერილი

მე და ჩემსავით მხცოვანი მეუღლე მადლობას ვუხდით ხარაგაულის საპატრულო პოლიციის თანამშრომლებს – **ავთანდილ ხეცურიანსა და ზაზა გაგოშიძეს,** რომლებიც, რიკოთის უღელტეხილზე უმწეოდ დარჩენილებს (მანქანა გაგვიჩერდა), გვერდით ამოგვიდგნენ, ჩაგვაყვანინეს გაფუჭებული მანქანა ხაშურში და მანამდე არ მიგვატოვეს, სანამ პრობლემა არ მოგვიგვარეს.

ღმერთმა უმრავლოს საქართველოს ასეთი ვაჟკაცები!

ციალა და თამაზ სიგუები

ასტროპროგნოზი

27 ივლისისათვის

ვერძი – გუნება-განწყობა გეცვლებათ. აქტიურობთ, თუმცა შინაგანად დაძაბული ხართ. **კურო** – ყურადღების ცენტრში ხართ. ყოველმხრივ კეთილისმყოფელი დღეა. ზომიერება დაიცავით. **ტყუპები** – საოჯახო პრობლემები სრულად ჩაგითრევთ. აკონტროლეთ შემოსავალ-გასავალი. გამოიყენეთ მეგობრების გამოცდილება. **კირჩხიბი** – ფინანსური ოპერაციებისას ზედმეტი რისკი გავნებთ. ზოგიერთი ნაცნობის მიმართ ქცევის შეცვლა მოგიწევთ. ერიდეთ კონფლიქტურ სიტუაციებს და უფრო რბილი და მოქნილი იყავით. **ლომი** – თქვენს მტრებზე შური არ იძიოთ. კეთილშობილება და მიმტევებლობა საქმეს უფრო წაადგება. პროფესიულ საქმიანობაში ცვლილებებია მოსალოდნელი. **ქალწული** – ფინანსური ოპერაციები წარმატებით ჩაივლის. კომპრომისზე წასვლა დღეს აუცილებელია. შესაძლოა, შემოსავლის ახალი წყაროც გაგიჩნდეთ. **სასწორი** – მთლიანობაში, კეთილისმყოფელი დღეა. ახალი ინფორმაცია სასიამოვნოდ გაგაოცებთ. იზრუნეთ ახლობლებზე. **ღრიანკალი** – შესაძლოა, სამსახური ან სულაც პროფესია შეიცვალოთ. წარმატების გარანტი თქვენი პრაქტიკულობა და ინტუიციაა. **მშვილდოსანი** – კომერციული საქმიანობა წარმატებით დაგვირგვინდება. ინიციატივას ნუ დათმობთ. კოლეგები თქვენ მიმართ კეთილგანწყობილნი არიან. **თხის რქა** – ნებისმიერი საქმის მოგვარებისას დეტალებს ყურადღება მიაქციეთ. სიფიცხე და მოუთმენლობა უსიამოვნებამდე მიგიყვანთ. **მერწყული** – იღბლიანი დღეა. სასიცოცხლო პოტენციალი იზრდება. გარშემომყოფების დარწმუნებას იოლად შეძლებთ და მათ თქვენ მიმართ ნდობით განაწყობთ. **თევზები** – საქმიანი მოლაპარაკებები შეგიძლიათ დღესვე დაიწყოთ. პარტნიორული ურთიერთობები საკმაოდ ნაყოფიერი იქნება.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოიდი ბ



შვეულად: 1. ორგზის მსოფლიოს ჩემპიონი ბრაზილიელი ფეხბურთელი; 2. ღვიძლის დაავადება; 3. ძვირფასი სარეწაო თევზი; 5. ფინური ხალხური ეპოსი; 7. მუქთახორა, ზარმაცი ადამიანი; 9. თანამედროვე ქართველი თეატრალური მხატვარი, მოქანდაკე; 13. ზებუნებრივი ძალების რწმენა; 15. სამხედრო პოლიგონი საქართველოში; 16. თაღლითი ბანქოს თამაშში; 18. კვირა დღის ძველი ქართული სახელწოდება.

თარაზულად: 4. მონასტერი რაჭაში; 6. მიწის სათხრელი მანქანა; 8. საზოგადოების განვითარებისა და მატერიალური კულტურის დონე; 10. ორადგილიანი ველოსიპედი; 11. საავტომობილო შეჯიბრების ერთ-ერთი დისციპლინა; 12. პურეული მცენარე; 14. სახელმწიფო წყნარ ოკეანეში; 17. მიწისქვეშა განძეულის მცველი ქონდრისკაცი გერმანულ მითოლოგიაში; 19. გეომეტრიული ფიგურა; 20. თანამედროვე, მრავალადგილიანი სამგზავრო თვითმფრინავი; 21. ჭადრაკის ფიგურა; 22. შემაგრებული ღვინო; 23. ოპერა „დაისის“ პერსონაჟი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. მუტაცია; 2. ტაბა; 3. ტესლა; 4. სტიაუა; 6. ქრისტინე; 9. ნოქარი; 13. მაჯონგი; 14. შევროლე; 15. პალაცო; 17. „პერეე“; 18. შხარა; 20. სოჭი.

თარაზულად: 1. მეტეორი; 5. ბანქო; 7. ვერმუტი; 8. ტიბაანი; 10. მერია; 11. რუმბა; 12. „წიქარა“; 16. სედანი; 17. პუნში; 19. ჯემი; 21. მაინცი; 22. „ნიკორა“; 23. როსინი; 24. „სეზარი“.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. რეფორმა; 2. ტრანზიტი; 3. აზურიტი; 5. კომბაინი; 7. ოგინსკი; 9. „მილენიუმი“; 13. სინდიყი; 15. დეფილე; 16. „ფრესკო“; 18. ხაიფა.

თარაზულად: 4. ბედეკერი; 6. „შარტრეზი“; 8. პოტამოლოგია; 10. ხანჩალი; 11. ლოტი; 12. აკორდი; 14. იდიში; 17. რენცი; 19. ოფისი; 20. ესპანური; 21. იენი; 22. პერგამონი; 23. ფანტომი.

ანი ტყებუჩავა მეორე გოგოს დედა გახდა

მსახიობი ანი ტყებუჩავა მეორე გოგონას დედა გახდა. გახმაურებული ქართული სერიალის „ჩემი ცოლის დაქალების“ მთავარი პერსონაჟის როლის შემსრულებელმა თავისი მეორე ორსულობა კარგად გამოიყენა და სერიალის მე-11 სეზონში მისი გმირიც კიდევ ერთ შვილზე ორსული აღმოჩნდა.

ანი და მისი პატარა გოგონა თავს კარგად გრძნობენ. ახალშობილს მშობლებმა თაია დაარქვეს.

ლევან ბარამიძისა და ანი ტყებუჩავასთვის ეს მეორე შვილია. წყვილს პირველიც გოგონა ჰყავთ, რომელიც 3 წლისაა.

ნინო სუხიშვილი გაეროს კეთილი ნების ელჩი იქნება

ანსამბლ „სუხიშვილების“ ხელმძღვანელი ნინო სუხიშვილი გაეროს კეთილი ნების ელჩი იქნება.

ეს ინფორმაცია ფესტივალ „არტ გენის“ კონცერტზე ილიკო სუხიშვილმა გააკეთა. წლევანდელი ფესტივალი სწორედ „სუხიშვილების“ კონცერტით დაიხურა.

გაეროს კეთილი ნების ელჩის წოდება უკვე მინიჭებული აქვს ქართველ პრიმა ბალერინას ნინო ანანიაშვილს. ნინო სუხიშვილი მეორე ქართველი ხელოვანია, რომელიც ამ საპატიო ტიტულს მიიღებს.

გაეროს ბავშვთა ფონდის კეთილი ნების ელჩები კი პაატა ბურჭულაძე და ნიკოლოზ რაჭველი არიან.

ქართული ღამის კლუბი მსოფლიოში საუკეთესოდ დასახელდა

პროდიუსერი თამაზ ორაშვილი ავრცელებს ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი გამოცემის ინფორმაციას, რომ მსოფლიოს საუკეთესო ღამის კლუბების ოცეულში პირველ ადგილზე თბილისში მდებარე კლუბი „ბასსიანი“ გავიდა:

– პირველი ადგილის პატივი ყოველგვარი 17 მილიონის და 15% გარეშე ერგო თბილისს... კერძოდ, კლუბ ბასსიანს. საქართველოს მთავრობა, ხომ კარგი ამბავი გამცნეთ?! – აცხადებს პროდიუსერი.

უცხოური გამოცემის მიხედვით, პირველ ადგილზე თბილისში მდებარე ღამის კლუბი „ბასსიანია“. ოცეულში შევიდნენ საუკეთესო ღამის კლუბები ბერლინიდან, კიევიდან, პარიზიდან, ტოკიოდან, იბიცადან, ამსტერდამიდან, სეულიდან, რომიდან, ჰელსინკიდან, ლისაბონიდან, ბარსელონადან, ნიუ იორკიდან, ვილნიუსიდან, ლონდონიდან, ფრანკფურტიდან, დიუსელდორფიდან, ჩიკაგოდან, გლაზგოდან და ბრაზილიიდან.

„კოზმანის“ წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიას კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი მიენიჭა



ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ღორეშაში მდებარე „კოზმანის“ წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიას საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დირექტორის, ნიკოლოზ ანთიძის, შესაბამისი ბრძანებით, კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი მიენიჭა.

მცირე ზომის დარბაზული ეკლესია დასახლებიდან 3-4 კილომეტრითაა დაცილებული ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით, ადგილს კი ჰქვია „კოზმანი“. აღმოსავლეთის ფასადით კლდეზეა გადამდგარი და დაჰყურებს მდინარე ძირულას ხეობას, ნაგებია სუფთად თლილი კვადრებით წყობის ჰორიზონტალურობის პირობითი დაცვით. ტაძარს ერთი კარი აქვს. სარკმლები მხოლოდ დასავლეთ და აღმოსავლეთ ფასადებზეა, ინტერიერი ერთიანია, იატაკი ბუნებრივი კლდეა, რომლის დასავლეთ ნაწილი თლილი ფილებითაა შევსებული. გარედან კედლებს საკმაოდ მსხვილი ლილვ-წრეთარგიანი ლავგარდანი ამძიმებს და იმერული კრამიტითაა გადახურული.

სამგლოვიარო განცხადებები

რეზიკო ხარჩილავას გახსენება!

ჩვენო საყვარელო რეზიკო, ერთი ცრემლიანი, მძიმე, ტკივილიანი წელი გავიდა, რაც დატოვე შენი საყვარელი ოჯახი და მშობლები და სამუდამო სასუფეველში გადახვედი!

ყველასთვის საამაყო, ჰუმანურო, კეთილშობილო, ყველას გვაკლიხარ შენი განსაკუთრებული ღიმილით!

საამაყოდ იზრდებიანი შენი ვაჟკაცები!

ნათელში გამყოფოს უფალმა შენი სპეტაკი სულით!

ნათესავები: კუსუნა და გოჩა მზარელუები

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

თბილისის ბიგ ბენდი საერთაშორისო საკონცერტო ტურნეს იწყებს

თბილისის ბიგ ბენდი, რომელიც 20 წელია გემოვნებიანი მუსიკის მოყვარულთა განწყობის ამაღლებაზე ზრუნავს, საერთაშორისო საკონცერტო ტურნეს იწყებს.

მას შემდეგ, რაც ორი ათეული წლის იუბილე აღნიშნეს და ამერიკის დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ კონცერტშიც მიიღეს მონაწილეობა, თბილისის ბიგ ბენდის მუსიკოსებმა ტრადიციას არ უღალატეს და უფასო კონცერტები გამართეს სტუდენტებისთვის. მომავალი თაობებისთვის მუსიკოსები წლებია უფასო კონცერტებს ატარებენ სხვადასხვა უნივერსიტეტებში და მათი რიცხვი ნელ-ნელა იზრდება.

5 აგვისტოს თბილისის ბიგ ბენდი მონაწილეობას მიიღებს ქართული ხმების 30 წლის იუბილესადმი მიძღვნილ კონცერტში, რომლის რეჟისორიც ბასა ფოცხიშვილია. თბილისის ბიგ ბენდისა და ქართული ხმების 20-წლიანი მეგობრობის დასტური სწორედ ეს კონცერტი იქნება. კონცერტში იუბილარ ანსამბლს თბილისი ბიგ ბენდი აკომპანიმენტს გაუწევს. ბლექ სი არენაზე დაგეგმილ საღამოში ასევე მონაწილეობას მიიღებენ დათო ევგენიძე, ნატო მეტონიძე...

თბილისის ბიგ ბენდის დამაარსებლის გაიოზ კანდელაკის ინფორმაციით, მათ დიდი სურვილი აქვთ, რომ საქართველოს რეგიონებშიც ჩავიდნენ და მოსახლეობისთვის უფასო კონცერტები გამართონ.

10 აგვისტოს ქართველი მუსიკოსები და მომღერლები ბულგარეთში ჩავლენ, სადაც ჯაზის საერთაშორისო ფესტივალზე დაუკრავენ. ამ ფესტივალზე ქართველები პირველად ჩადიან. ბიგ ბენდი მსმენელის წინაშე სრული შემადგენლობით წარდგება. მათ რეპერტუარში 300 ნაწარმოებია. ბიგ ბენდი გივი გაჩეჩილაძის ხელმძღვანელობით უკრავს როგორც ქართულ ნაწარმოებებს, ასევე კლასიკას, ჯაზს.

13 აგვისტოს ქართველები ბულგარეთიდან სერბეთში გადაინაცვლებენ. თბილისის ბიგ ბენდი სერბეთშიც პირველად ჩავა.

მომავალი წელი კი ყველაზე მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო იქნება თბილისის ბიგ ბენდისთვის, ისინი კონცერტებს ამერიკაში გამართავენ. საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, 26 მაისს, მუსიკოსები და მომღერლები ნიუ იორკის, ვაშინგტონის და ჩიკაგოს საკონცერტო დარბაზებში კონცერტებით აღნიშნავენ.

გოგა ჩანადირი: „ნუ ვაბრალებთ ყველაფერს უცხოელებს“

ფოტოხელოვანი გოგა ჩანადირი ქართველებს მეტ პასუხისმგებლობას სთხოვს და მოუწოდებს თითოეულ მათგანს, საკუთარ თვალში დირეს დანახვა ისწავლონ:

– ყველაფერი ცუდი, რაც საქართველოში ხდება, უცხოელების ბრალია.

ჩვენ, დიდი და ძველი კულტურის წარმომადგენლებს, აივნიდან თუ მანქანიდან ნამწვის გადაგდება, ან ქეიფის შემდეგ ბუნებაში ნაგვის დატოვება აზრად არ მოგვდის.

ჩვენ აზრადაც არ მოგვდის, ისტორიული ძეგლების კედლებზე საკუთარი სახელების ამოჩხაპნვა, ერთმანეთის ლანძღვა და შური, ფლიდობა და საქმეში დაღალატება, გადაგდებას რომ უწოდებენ, საგზაო მოძრაობის წესების ხშირად დარღვევა, ქართული ენის მასობრივად უგულებელყოფა დაწესებულებებზე თუ მეტყველებაში, ასევე, ავტობუსის სავარძლების დაჭრა, საკუთარ სადარბაზოებში მოშარდვა და კიდევ სხვა ბევრი რამ.

საკუთარი პასუხისმგებლობის სხვისთვის აკიდებაც არ არის ჩვენი სტილი.

ეს ყველაფერი უცხოელების ბრალია.

დიახ, ღამით ქუჩაში ისინი ყვირიან და ხმამაღალი მუსიკით ჩაივლიან ხოლმე მანქანით, ისინი გვიყრიან ნაგავს ყოველ ნაბიჯზე, ისინი არ გვატარებენ ზებრახაზზე, ანდაც ღერძულა ხაზებს კვეთენ და ნასვამები სხდებიან საჭესთან.

როცა ქართულად ლაპარაკობენ, ისინი ამბობენ კარაჩეს, ვაფშეს, პოზიტივს, დალაიქებას, ლოკაციას, სენსიტიურს, პაკა-პაკას, პრივეტს, ლაითსა და ასე შემდეგ. სწორედ ისინი ყიდულობენ ოკუპანტის ნაწარმს, რომ ჩვენს წინააღმდეგ ომი დააფინანსონ. სადენები და სარწყავი მილები ქართული სოფლებიდან რომ მოიპარეს და თურქეთში გაყიდეს, უცხოელებმა ქნეს. ქარსაცავი ზოლები რომ განადგურდა, ეგეც მაგათ ქნეს.

ყველაფერი უცხოელების ბრალია. ჩვენ რომ წიგნებს არ ვკითხულობთ, ეგეც უცხოელების ბრალია.

ქართველები ზნეკეთილნი, მაღალი კულტურის ხალხი ვართ და ამ მხრივ პირველ ადგილზე თუ არ ვართ, ძალიან ბევრს კი ვუსწრებთ.

ხოდა, რაც კი რამე ცუდი ხდება, უცხოელების ბრალია. ჩვენს თვალში დირეს დანახვა რა ჩვენი საქმეა?

ქართველი ქორეოგრაფი საბერძნეთში ქართველებმა გაძარცვეს

ანსამბლ „ფოცხიშვილების“ ქორეოგრაფი დავით ფოცხიშვილი საბერძნეთში ქართველებმა გაძარცვეს.

ანსამბლი „ფოცხიშვილები“ საბერძნეთში გასტროლზე ჩავიდა. გასტროლის დასასრულს მაღაზიებში საყიდლებზე მყოფი ქართველები ისევ ქართველებმა გაქურდეს.

დავით ფოცხიშვილი:

– სალონიკი არის ილუზიონისტების ქალაქი... აქ არიან მსოფლიოში ყველაზე ჯადოქარი ჯიბის ქურდები, მათთვის არ არსებობს გაუხსნელი ჯიბე, ჩანთა და ა.შ... და ამ ყველაფერს ვინ კადრულობს, აბა, გამოიცანით!

მაღაზიებში კარგად და საკაიფოდ გაგვძარცვეს...

სულ სადღაც 600 ევრო წაიღეს, რომელიც იყო განკუთვნილი ბავშვებისთვის...

5 ქართველი ჯადოქარი, აქედან 2 ქალი თოთო ბავშვებით და სამი მამაკაცი...

ასეთი ქართველების ბრალია, დღეს საქართველო სამი კილომეტრი რომ დარჩა... ქართველი ქართველს რასაც გაუკეთებს, დარწმუნებული ვარ, ამას არც ერთი ერი არ იკადრებს... მე ვფიქრობ, რომ ქართველ ერს აკლია რწმენა...

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

პროგრამა

ხუთშაბათი 27 ივლისი

07.00 დოკ/ფ "ბრძოლა ვეშაპების გადასარჩენად" **08.00** "კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" **09.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **09.15** ტ/სერ. "**წინ" წარმატებისკენ**" **10.10, 02.35** "პირადი ექიმი" **11.00** ტ/სერ. "**ჩინტო ვეტრინა**" **12.30** "საუკუნის პორტრეტები" **13.00, 03.30** დღის მხ/ფ "**ჩემი ოცნების ქალი**" (მ.როკი) **15.00, 05.05** დოკ/ფ "დროისა და სივრცის მიღმა" **16.15** დოკ/ფ "ბრძოლა ვეშაპების გადასარჩენად" **17.00** ტ/სერ. "**ოფისი**" **18.30** "ტელებლოგი" **19.00** ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო**" **20.40** "სპორტის დაფა" **21.00** ტ/სერ. "**ცბიერი მოახლეები**" **22.00** ტ/სერ. "**მთავრობა**" **23.00** მხ/ფ "**სპრენიტი**" **01.00** მხ/ფ "**რედ როქი**" (ნ.კეიჯი)

ტექნიკური მიზეზების გამო არხის პროგრამას ვერ ქმიპვაზობთ.

05.50, 14.40 სერ. "**ელიფი**" **07.30, 08.20, 09.20** იმედის დილა (გაგრძელება) **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 04.15** ქრონიკა **10.05** სერ. "**პაპარაცი**" **11.20** სერ. "**ფიცი**" **12.30** იმედის დღე **17.35** სერ. "**ხაფანგი**" **18.50, 19.03** სერ. "**მოპარული ცხოვრება**" **21.00** სპორტი **21.08** ამინდი **21.10** სერ. "**ძმა**" **22.00** სხვა რაკურსი გია ჯაჯანიძესთან ერთად **23.30** სპორტი იმედზე **00.30** მხ/ფ "**გაქცევა ციხიდან**" **02.10** მხ/ფ "**შეუსრულებელი მისია 4**" **04.30** მხ/ფ "**სტეაფორდელი ცოლები**"

06.00, 18.45 სერ. "**კაცი**" **06.45, 20.03** სერ. "**დესპოტი ქმარი**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**მფარველი ანგელოზი**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**ფერიპას საიდუმლო**" **15.30** სერ. "**წარსულის ჩრდილი**" **16.55** სერ. "**დაკარგული წლები**" **22.00** კომედის კონცერტი - **2015** სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**"

08.00 ან/სერ. "ვარსკვლავური ომები **-2**" **09.00, 17.00** სერ. "**კრიმინალური აზროვნება12**" **11.00** სერიალი: "მონკი" **1**" **15.00** სერ. "**ანტიმფია 7**" **19.00** სერ. "**პანიბალი 2**" **21.00** ერ. "**მაფიოზა 4**" **22.30, 06.55** მხ/ფ

08.00 ანანდა **08.15** მულტფილმი **08.30** სერ. "**ღმერთების სულდასხმული**" **09.20** მულტ/სერ. "დინოფროზი" **09.50** სერ. "**სიყვარულსა და შიშს შორის**" **10.40, 13.40, 14.40, 17.40, 21.20, 22.25** ტელემარკეტი **11.00, 14.00, 17.00, 17.55, 19.00, 23.30** ახალი ამბები **11.30** სერ. "**მეომრები**" შეგუნი II ნაწ. **12.00** მოდი გავიყაროთ **13.00, 04.20** ბიზნესკოდი **15.00 3**-დან **5**-მდე **16.25** სერ. "**ფოილის ოჯი**" **18.00, 0.00** ფაბრიკა **19.55** მე რომ ვიყო **20.00, 03.20** პრიორიტეტი **21.30** რატის ბლოგი **22.00** სინემანი **22.35** სერ. "**სიყვარულსა და შიშს შორის**" **1.00** მხ/ფ "**ექსპერიმენტი**" **2.30** მოდი გავიყაროთ

06.15 ქრისტიანული სწავლება

06.25 მუს. პაუზა **06.40** პატერიკი **06.45** აქტუალური თემა **07.25** ქართული ალბომი **07.50** სამყაროს შექმნა **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** სიბრძნისმეტყველება **08.30** "განთიადი" **10.10** შარავანდედი-ექვთიმე თაყაიშვილი **10.40** საღვთისმეტყველო საუბრები **11.30** ეპოქის სახელები **12.10** მხ/ფ "**როცა აყვავდა ნუში**" **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.40** გამოყენებითი ხელოვნება "გლიპტიკა და მინანქარი" **15.05** ქართული ან/ფ **15.25** დ/ფ "ბარტ ვულფი-არუბა" **15.50** ტრაპეზი "იხვი ისპანახის შიგთავსით" **16.10** კონცერტი **16.55** ქრისტიანული ხელოვნება "ტაო-კლარჯეთი" **17.30** ჩვენი ფონდი **18.10** "განთიადის" სტუმარი **18.40** "სჯანი"-დედამიწის გარე ცივილიზაციები **19.00, 22.00, 00.10** სიახლენი **19.20** მხ/ფ "**სანამ წვიმა გადივლიდეს**" **20.40** ძილი ნებისა **21.00** პატრიარქის ქადაგება **21.15** ზღვარზე-"ჯეფი" **21.40** ჩვენი ფონდი **22.20** ჩვენი საგანძური **22.40** კვირიაკეს სიუჟეტი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.40** ივერიის ეკლესია "სინას მთის ქართული მემკვიდრეობა" **00.30** დ/ფ "ფურცლები ფრანგული დღიურიდან" **01.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

მაესტრო **08.00 - 03.00** ახალი ამბები (გამეორება ყოველ ერთ საათში) **07.15 - 02.15** სპორტი (გამეორება ყოველ ერთ საათში) **07.30-02.30** ახალი ამბები მსოფლიო (გამეორება ყოველ ერთ საათში) **07.00, 10.00, 13.00, 19.00, 23.00, 01.00** ბიზნესი **21.00** მთავარი გამოშვება

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

27 ივლისისთვის

- აშშ დოლარი — 2.3987
- ევრო — 2.7938
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.1267
- 100 რუსული რუბლი — 4.0042

ამინდის პროგნოზი 27 ივლისისთვის



1 აგვისტოდან

ქართული დეტექტივი მე-15 ტომი

მაია ბურჭულაძე

უფასო ბილეთი წარსულში

ორშაბათის სიზმარი

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

20 ივლისიდან

შიო გვეტაძე

მონანიება

ქართული დეტექტივი მე-14 ტომი

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

ანეკდოტი

სათამაშოების მაღაზიაში მყიდველი თოჯინა ბარბით ინტერესდება. გამყიდველი უსმენს:

– ეს ბარბი აუზში – 18,99 დოლარი ღირს. ბარბი კოლეჯში – 18,99 დოლარი. ეს კი განქორწინებული ბარბია – 199,99 დოლარი.

– რატომ ასეთი ფასი? – კითხულობს მყიდველი.

– „განქორწინებული ბარბის“ კომპლექტში შედის კენის სახლი, კენის მანქანა და კენის შვეულმფრენი.

•••

პროვინციული თეატრის მსახიობი წარმოდგენის დროს კლდიდან წყალში უნდა გადახტეს, რომელიც სცენის სიღრმეში იგულისხმება. სპექტაკლის დროს ბოლო მომენტში აღმოაჩენს, რომ ქვევით მატრასები არ აგია, მაგრამ სხვა გზა არ აქვს და გადახტება და ფიცრებზე დაენარცხება. გაისმა დაცემის ხმა და მსახიობის ხმაც:

– მდინარე უკვე გაყინულა.

•••

სომხეთის რადიოს ეკითხებიან:

– ანანისტები ცოლს ირთავენ?

– ირთავენ, მხოლოდ მწველავებს!

•••

ერთი ქალი მეორეს ეუბნება:

– გუშინ თითქმის მთელი დღე ხინკალს ვამზადებდი.

– მერე?

– მერე რა, საღამოს მოვიდა ქმარი, მოვუხარშე, მივართვი, შეჭამა და მეუბნება: „აღარ იყიდო“.

•••

კაცმა ოქროს თევზი დაიჭირა და არ იცის რა მოუხერხოს. ოქროს თევზი ეუბნება:

– სურვილი ჩაიფიქრე.

– რატომ?

– როგორ აგიხსნა, აი, გუშინ, მაგალითად, აზერბაიჯანელმა დამიჭირა და მილიონი დოლარი მთხოვა, მეც მივეცი. და შენ რა გინდა?

– მისი მისამართი!!!

•••

ერთი მეგობარი მეორეს შესჩივის:

– იცი, ჩემგან ცოლი წავიდა და ერთი თეთრიც არ დამიტოვა.

– ეეჰ, ჩემმა ცოლმაც ერთი თეთრიც კი არ დამიტოვა, მაგრამ არსად წასულა, ისევ სახლში მიზის.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.

13 ივლისიდან



ლაშა იმედაშვილი

სამი მკვლელობა ძველ თბილისში

ქართული დეტექტივი ტომი 13

პატრიარქის ზაფხული

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

უკრაინის სასამართლომ ლეონიდ ჩერნოვეცკის დაკავების ბრძანება გასცა

უკრაინის სასამართლომ კიევის ყოფილი მერის ლეონიდ ჩერნოვეცკის დაპატიმრებაზე ბრძანება გასცა.

სასამართლო ჩერნოვეცკის კიევის გზაზე ვერტმფრენის დასაჯდომი ადგილის უკანონოდ აშენებას ედავება.

პროკურატურის ცნობით, ამჟამად ჩერნოვეცკის ადგილსამყოფელი უცნობია და კიევის ყოფილი მერი გამოძიებას თავს არიდებს, ამიტომ გაიცა მისი დაპატიმრების ბრძანება. ჩერნოვეცკი საკმაოდ დიდ ქონებას ფლობს და რაღაც პერიოდის მანძილზე ის საქართველოში ცხოვრობდა.

როგორც უკრაინის სასამართლო და პროკურატურა იუწყება, ჩერნოვეცკის ადგილსამყოფელი ამჟამად ცნობილი არ არის.

დიეგო სიმეონემ ატლეტიკოსთან ახალი კონტრაქტი გააფორმა

მადრიდის ატლეტიკოს დამრიგებელმა დიეგო სიმეონემ ახალ კონტრაქტს მოაწერა ხელი, რომლის მიხედვითაც, ის ატლეტიკოს 2021 წლის ჩათვლით უხელმძღვანელებს.

ზაფხულში იყო საუბრები იმის შესახებ, რომ სიმეონეს, შესაძლოა, დაეტოვებინა ატლეტიკო, მაგრამ ეს საუბრები არ გამართლდა და დიეგო ისევ მადრიდულ კლუბს უხელმძღვანელებს. სიმეონე ატლეტიკოში 2011 წლიდან მუშაობს და მისი ხელმძღვანელობით ატლეტიკომ ბევრ წარმატებას მიაღწია, 2014 წელს კი მადრიდელები ესპანეთის ჩემპიონები გახდნენ. სიმეონესთან ერთად ატლეტიკო ჩემპიონთა ლიგის ფინალში ორჯერ გავიდა, მაგრამ ორჯერვე დამარცხდა თანაქალაქელ მადრიდის რეალთან.

კარლოს ბაკა მილანს დატოვებს

მილანის კოლუმბიელი ფორვარდი კარლოს ბაკა წლევანდელ ზაფხულში მილანს დატოვებს, რადგან ის გუნდის მწვრთნელის, ვინჩენცო მონტელას, გეგმებში არ შედის.

ბაკას შეძენა მარსელის ოლიმპიკს სურს, მაგრამ მილანი ამ ტრანსფერში 25 მილიონ ევროს ითხოვს, ამდენის გადახდა კი ფრანგებს არ სურთ. ამის გამო, მარსელო და მილანი ბაკას ტრანსფერის თაობაზე ვერ თანხმდებიან.

კარლოს ბაკას ყიდვა რამდენიმე ინგლისურ გუნდსაც სურს, ამიტომ არ არის გამორიცხული, რომ მან კარიერა ინგლისში გააგრძელოს.

ბაკამ სახელი სევილიაში თამაშით გაითქვა, სადაც ზედიზედ ორჯერ შეძლო ევროპის ლიგის მოგება.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

რენატუ სანჩესს ბაიერნის დატოვება სურს

ბაიერნის ახალგაზრდა პორტუგალიელ ფეხბურთელს რენატუ სანჩესს ბაიერნის დატოვება სურს, რადგან მას მეტი სათამაშო პრაქტიკა სჭირდება.

ახალგაზრდა პორტუგალიელის თქმით, მილანში გადასვლა ცუდი ვარიანტი არ არის, რადგან ეს გუნდი წელს ძალიან გაძლიერდა და უმაღლესი მიზნებისთვის იბრძოლებს. გარდა ამისა, სანჩესი დარწმუნებულია, რომ მილანში მას მეტჯერ მიეცემა თავის გამოჩენის შანსი.

ბაიერნმა შარშან სანჩესის ტრანსფერში 35 მილიონი ევრო გადაიხადა, ამიტომ, სავარაუდოდ, მიუნხენელები ახალგაზრდა პორტუგალიელს იოლად არ შეელევიან.

რენატუ სანჩესი ევროპაში ერთ-ერთ ყველაზე ნიჭიერ ახალგაზრდა ფეხბურთელად ითვლება.

პიკე ნეიმარს ბარსელონაში დარჩენას ურჩევს

ბარსელონას მცველმა ჟერარ პიკემ ბრაზილიელ ფორვარდ ნეიმარს ბარსელონაში დარჩენა ურჩია.

პიკეს აზრით, ნეიმარი დიდ შეცდომას დაუშვებს, თუ ფრანგულ პსჟ-ს შეუერთდება, რადგან საფრანგეთის ჩემპიონატი ესპანეთის ჩემპიონატზე გაცილებით სუსტია.

– მინდა ნეიმარს მეგობრული რჩევა მივცე და ვუთხრა, რომ საფრანგეთის ჩემპიონატში გადასვლა მას კარგს არაფერს მოუტანს. ის ზრდასრული ადამიანია და ვალდებულია, გადაწყვეტილება თვითონ მიიღოს. ჩვენ ყველას მისი დარჩენა გვსურს, – განაცხადა პიკემ.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. პურის ნაჭრების შესაწვავი ელექტროხელსაწყო; 2. ყურანის თითოეული თავი; 3. საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრების მწვრთნელი; 4. უარყოფითად დამუხტული იონი; 6. ნეფე-დედოფლის თანმხლები პირები ქორწილში; 9. მდინარე სამეგრელოში; 13. თვითმავალი, მექანიკური, სარკინიგზო ურიკა; 14. კუთხე საქართველოში; 15. ხორბლის, მარცვლეულის რაოდენობის საზომი საერთაშორისო ერთეული; 17. ქართველი მოჭიდავე, ოლიმპიური ჩემპიონი; 18. ციტრუსების კანის ზედა, შეფერილი ფენა; 20. მიწის ფართობის საზომი ერთეული აშშ-ში.

თარაზულად: 1. მევენახეობა-მეღვინეობის ოლქი იტალიაში; 5. ლეო დელიბის ოპერა; 7. გადასახადებისაგან განთავისუფლებული ყრმა ძველად საქართველოში; 8. სპორტული სირბილი, ცურვა, მოკლე დისტანციაზე; 10. სპირტიანი სასმელი; 11. იაპონური აბანო; 12. ღვინისა და დროსტარების ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 16. ანსამბლ „ბითლზის“ ერთ-ერთი წევრი; 17. იტალიის პრემიერ-მინისტრი; 19. რძის პროდუქტი; 21. აბანოს თანამშრომელი; 22. ზოგიერთი მცენარის მიწისქვეშა გამსხვილებული ფესვი; 23. ქართული მინერალური წყალი; 24. სპეციალური სათხილამურო ფეხსაცმელი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა